

კაჟა ეტჳისელო

კოლხური  
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკარსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული  
100 ტომად


2020



საქართველოს მწიბრალთა, მცენიერთა და  
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

ტომი 59

2020



მთ. რედაქტორი

**ხათუნა ამალოზელი**

ფილოსოფიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს მწერალთა,  
მეცნიერთა და საზოგადო  
მოდერნიზატორთა საერთაშორისო  
აკადემია “ქალდეა-საქართვე-  
ლო“-ს აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაინის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-866-3 (59 ტომი)



\* \* \*

**ვაჟა ებრისელი** დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ღმერთის მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღმქანდა რა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფილოზოფ ტიუტჩევის ღმერთი და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ღმერთის მომცველი ერთტომეული – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალმუნაბი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძეგლია იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ღმერთი დასტამბული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცენიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწესა ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაქტიონ ტაბიძის პრემიების დაარეგისტრირება, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოზის მედლისა და „დიოკურია 2005“-ის, მწვინდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვინდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცენიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანდებობის მმართველობა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, სპარტოველეს განათლებისა და სპარტოველეს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური უსაღმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსაღმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდენტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეტი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსაღმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბრუნდა დასაბეჭდავ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, აბრეთვე, პრეზიდენტის მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველობისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსაღმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „სპარტოველეს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მმართველობისა და ორი და).





## პოეტის ასტრომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისეელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შებადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინანი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომეული დაკიდა და ბაანცოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეუტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნდალული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუპეითბია.

100-ტომეული... ძველის ბაჩენის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძენია დღამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგულეჟანი მისვლია... მათ იცინან იმ ოწყება დღამიწვის ისტორია“.

### ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





„ბულცივად ვხევიდი ყოველ ძეგას, ყოველ კაბეგას.“

ა. პუშკინი

### წინასიტყვაობის მახვიერ

(გაგრძელება)

ვაჟა ეგრისელის ლექსებში გაზაფხულის სურათებში მამულის სიყვარულია დავანებული. ეს ჭეშმარიტად დიდი და განუმეორებელი პოეზიაა:

\*

„სამშობლოს მთები,

როგორც დევები,

დგანან უვნებლად.

ატმები ვარდისფერი ბაგებით —

ჩვენს გაზაფხულზე გვეჩურჩულება“.


მხატვრული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშია უსათაურო ლექსი:

\*

„ჩემს კეთილ,

მოსუც მიცვალებულებს,

გულზე აყრიათ სამშობლოს მიწა.







არც ვარდი აკლიათ  
და არც იები.

ეფარებიან...  
და იმხელა კედელი იცავთ,  
თითქოს ეშინიათ გაცივების“.

მშვენიერი სურათია. სურათი უადრესად პლასტიკურია, ხელშესახები, თვალდასანახი; ვარდი და იები ეფარება მოსუც მიცვალებულთა საფლავებს და პოეტის მსუბუქი მელანქოლია უნებლიედ გადამდებია და ამაღლვებელი.

პოეტი გულდაჯერებით გვარწმუნებს იმ ჭეშმარიტებაში, რომ ცხოვრება რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია, განსაკუთრებით მაშინ, როცა აღამიანი მარტო რჩება. მარტოა აბობოქრებულ გრძნობებთან, განცდებთან. მაგრამ ხელოვნება ხომ სადიდებელი ჰომინია მაშინაც კი, როცა ის ტრაგედიას გადმოგვცემს, რომ:

\*

„ზამთარს ცვლის ზაფხული,  
სინათლეს —  
წყვლიადი...“

სიკვდილის წისკელით  
სიცოცხლე იფქვება.  
და ხმები მოისმის ზარის და ნაღარის:  
„რაიც ყოფილა, იგივე იქნება,  
არაფერია მზისქვეშ ახალი“.



ვაჟა ვერისელისთვის სიცოცხლე მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედებასთან კავშირშია. ისევე როგორც მისი ლირიკული პერსონაჟი მთელი არსებით ჩაზრდილია მშობლიური მიწის წიაღში და გეჩვენება, რომ პოეტი სიცოცხლის ხეს — დედაბუნების ამ შტოს თითოეული ნერვის, მაჯისცემის ხმას ისმენს: ლექსი „მოდი აპრილო“, არის სინამდვილის აღქმის დროს წარმოქმნილი სულიერი რეაქციის (გრძნობების, ემოციების) განსურათება.

\*

„ჩემი გალობა შემიზავე შენს სინათლეში,  
შენი ფერების უშქარ ზღვაში  
და ჟრიამულში,  
და მომეც შენი ჯადოსნური განსწავლულობა.  
აპრილო, მოდი ყვავილებით  
და ჩემს მამულში —  
გაზაფხულები კვლავ განფინე სასწაულებად“.

მამულზე სასწაულებად განფენილი გაზაფხულები დახატულია გალობით, სინათლით. ბევრის-ბევრ ფერთა ზღვით და ჟრიამულით. პოეტის შინაგანი სამყარო ღამაში და სუფთაა. ტყუილად კი არ ახსენებს ხშირად ღურჯთვალა იას, „ია-იების ბოლს“. აკაკი და გალაკტიონი ვარდს ეტრფოდნენ, ვაჟა-ფშაველა და გიორგი ლეონიძე ღურჯთვალა იას, ტიცციან ტაბიძე სისხლისფერ მიხაკს აცოც-



ხლებდა. ლადო ასათიანი თავს ევლებოდა სისხლის-  
ფრად მობრიალე ყაყაჩოებს.

ვაჟა ეგრისელმა ყველაფერს ლურჯთვალა ია  
ამჯობინა და არაერთხელ გვაგრძნობინებს თავის  
პოეზიაში აპრილის მობრძანებას, ია-იების დიღებით  
დამშვენებული მინდორ-ველის სილამაზეს:

\*

„სიმწვანით ოდნავ შებუმბლულ კვირტებს —  
სითბოს უმატებს —  
მოფრენილი ჭიკჭიკი მერცხლის.  
ცის შუაკერაზე ანთია ცეცხლი  
და ბუჩქებს ასდის იების ბოლი“.

ცის შუაკერაზე ცეცხლი რომ დაინთება და ბუჩ-  
ქებიდან ია-იების ბოლი რომ ამოვა, ერთი შეხედვით  
კონკრეტული განწყობილებაც კი ეუფლება ლირი-  
კულ პერსონაჟს, მაგრამ ამით ახერხებს იგი სამყა-  
როს თავისთავში დატევას. ია-იების ბოლმა თითქოს  
ქვეყნიერება მოიცვა და ამ ყოფნაში, ყოფნის დამი-  
დან სამყაროს გაღვიძების, სიცოცხლის საწყისიც  
აღმოაჩინა. ვაჟა ეგრისელის პოეზიაში გაზაფხულის  
შემობრძანება სრულყოფილების გამოხატულებაა.  
სიყვარული მარადიული ჰარმონიის თანამდევ გრძნო-  
ბადაა აღქმული და მისი ამ დონეზე შენარჩუნება  
ოდენ ია-იების დიმილითა და თანხმიერებითაა შე-  
საძლებელი. საერთოდ, ლექსით შენაგრძნობი სამყა-



რო სიყვარულითაა გასსივოსნებული, ლირიკული პერსონაჟი ძლიერი ოპტიმიზმით სუნთქავს და ღრმად სჯერა:

\*

„ნათელი მზის და იმედის  
    წყარო არასდროს დაშრება,  
    ოცნების ცაზე მთიები —  
    სულ მუდამ იკაშკაშებენ...  
სიცოცხლის ბაღში სიყვარულს —  
    იჭახჭახებენ შაშვები“.

\*

„სიღურჯე წვეთავს  
    ია-იების  
    და გაზაფხული  
იღიმება სველ მიმოზიდან.  
სოკოები კი მოკლე კაბებს მზეზე იშრობენ.  
და... დავიწყების მწუხრმა —  
ქარის კალთით მოზიდა:  
შენი წყურვილი,  
    შენი დარდი,  
    შენი სიშორე“.

გაზაფხული პოეტს იზიდავს თავისი მრავალფეროვნებით, სილადით, ბუნების უტყუარი მცნობელობით. პოეტმა უნაზესი ფორმით გადმოსცა ბუნების



უშმვენირესი სილამაზე, სიბრძნე, გმირობა. გაზაფხული ბატონობს პოეტის ღირიკულ ქმნილებებში, მის სულიერებაში, მის მისწრაფებაში, სიხარულსა თუ იმედში. პოეტი აღფრთოვანებულ სტრიქონებს უძღვნის საქართველოს გაზაფხულს:

\*

„გაზაფხული კვლავ, ვით წინაპარი,  
შავი ზღვის პირას შლის აფრებად  
თეთრ აკაციებს.

და ჩვენი მიწის მდომ იმ კაცუნებს,  
აწ მიწადქცეულთ,

ტანში აციებთ —

ჩემი კოლხური აფრის ტკაცუნი“.

ამ ლექსში ვაჟკაცური სულის კივილი ხშიანობს და პოეტის მაღალზნეობრივი პრინციპების ისეთ სიმაღლეს სწვდება, სამშობლოს სიყვარულისა და სხივნათელ წინაპართა მოწიწებისა და თაყვანისცემის გრძნობის ნაზავს რომ აბუდებს გულში.

„სახისმეტყველება აბსტრაქტულად წარმოდგენილი რეალობის მხატვრულ-ესთეტიკური წარმოსახვა კონკრეტულ ჩარჩოებში, მისი განსურათება, მისი მხატვრული ხატის მოცემა“.

აი, როგორ არის ხორცშესხმული ვაჟა ეგრისელის წიგნში „ფსალმუნები“ პოეტის ბავშვობა და ყრმობისეული ზმანებანი:



\*

„აყვავებული აპრილის სახრით —  
ჩემი ბავშვობა ფეხშიშველა  
მიუძღვის გუთანს,  
სიღრმეს დაეძებს ფოლადის დინგი.  
პირაღმა წვება და სიმწრისაგან  
ბელტები კუთავს.  
მამა ხნავს ეზოს,  
იფრქვევა ირგვლივ —  
სურნელი ახალ მოხნული მისწის“.

გაზაფხული სიმბოლოა პოეტის ბავშვობისა, მონატრებაა მშობლიური მიწისა და ალბათ ეს გრძნობა მარადიულად თან სდევს პოეტს... და ისევ გაოცება, აღმაფრენა, გაზაფხული, აყვავებული ატმისა და ალუჩის ხეები. შაშვის საგანთიადო ჭახჭახი. თეთრ ბაფთებიანი ნუში და ტყემალი, ცის ცრემლებით დანამული ბალახი. ნაკადულის ლეკვის წკავწკავი და მდინარის ძაღლის ყეფა:

\*

„მზიანმა დღემ გაზაფხულის,  
რაც სინათლით სხივი დაწვა,  
ღამის ფსკერზე დაილექა.  
და ცა უსმენს ნაკადულის —  
ლეკვის წკავწკავს  
და მდინარის ძაღლის ყეფას!“



ან

\*

„ცისა და მიწის დასალიერთან,  
ელვის ვარდისფერ თოკით  
დაბორკილ

საავდრო ღრუბლებს ქარები აშლის.

შიშველი ტალღა —

ნაპირისაკენ ისევ გამორბის,  
თითქოსდა დედას გამოექცა პატარა ბავშვი“.

ზემოთ მოყვანილი ლექსები პოეტური მხატვრული მეტყველების თვალსაჩინო გამოხატულებაა. პოეტს იტაცებს აპრილის ქარი — „გაზაფხულის მზეზე მყვირალი“. ეს მართლაც გაუცნაურებული პეიზაჟია, როცა:

\*

„დასალიერში ისევ ანთია,

ჩამავალი მზის სუსტი

კოცონი,

აპრილის ქარი,

გაზაფხულის მზეზე მყვირალი.

ზღვას მარილიან ტუჩებს უკოცნის“.

უცებ თვალწინ გაიელვებს სურათი: მზე კოცნის ლოყებდაბერილ კვირტებს და ტოტებიდან სიმწვანე მოწვეთავს... პოეტის ეს პეიზაჟი ნახატივით მკაფიოა და ამავე დროს აქაა მძაფრი ხილვა ერთი შეხედვით



ბუნების სრულყოფილი ფორმებისაკენ ლტოლვის იდეას რომ ემსახურება:

\*

„მზე კოცნის ლოყებდაბერილ კვირტებს  
და ტოტებიდან  
სიმწვანეს წვევთავს —  
მარგალიტების ფერად მძივებად.  
ელის თბილისი  
და ელის მცხეთაც,  
მტკვრის და არაგვის დაფეხმძიმებას“.

ვაჟა ეგრისელის პოეტური ხილვები, საქართველოს ტყის და მთების, ველებისა და მდინარეების თავისუფალ ასოციაციებს აღძრავს, იმ რაღაც უცნაურ სითბოსა თუ ნოსტალგიის მსგავს მსუბუქ ქროლას, მხოლოდ ჭეშმარიტი ხელოვნება რომ აღძრავს ხოლმე ადამიანში.

პოეტი ეტრფის მთებსა და ნაკადულებს, დილის სუფთა, წმინდა გამჭვირვალე ჰაერს. ელტვის ამადლებულ ბუნებას, ეს მეტნაკლებად ყველა ლექსში იგრძნობა. აი, თუნდაც:

„თეთრ ბაბთებიანი აპრილი,  
როცა მზის სარკეში იჭვრიტება,  
როცა ხის ტოტებზე მოვლემარე,





მწვანე წამწამებიანი კვირტები —  
ფოთლებად თვალებს ახელენ,  
მათ გაზაფხული ჰქვიათ სახელად“.

ძნელია გაზაფხულზე უფრო გამორჩეული სიტყვა თქვა, გაზაფხულის სილამაზე მართლაც რომ მოხდენილადაა დახატული პოეტის ლირიკულ ქმნილებებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შთამბეჭდავად წარმოჩნდა გაზაფხულის სურათები, ვითარც სიმბოლიკა. გაზაფხული პოეტის სიხარულია. აღმადრენაა, სიცოცხლის საწყისი და ბუნების ზემია. პოეტი გაზაფხულის მობრძანებას, გაზაფხულის ყვავილებს სხვადასხვა ასპექტით მრავალფეროვან ნიუანსებში ასახავს და აღიქვამს.

გაზაფხულის რკალის ლექსებიდან უთუოდ ერთ-ერთი გამორჩეულია:

\*

„გაზაფხულის მზე სიცილით  
აღვიძებს ქართლს —  
თვალმითვლემულს.

დღე არ მახსოვს ამისთანა.  
აღბათ თავის დავითს ელის —  
ქსნის წყალი და  
ლამისყანა“.



ღიას, გაზაფხულის მზის სიცილით გამოღვიძებული ქართლი თავის ღირსეულ შვილს ელოდება. აქ, ამ ლექსის ყოველ სტრიქონში სულმნათი დავით გურამიშვილის სხივნათელი სახე ილანდება. მიგნებულია პოეტური ფორმა, თემის ორიგინალურ გადაწყვეტაში გამოხატულია მწერლის ფილოსოფია, მისი სიბრძნე. არც ერთი სტრიქონი არაა ყალბი. ყველაფერი განათებულია სიმართლის ნიჭის შუქით. სამყაროს უშუალოდ განცდითა და აღქმით. მზის სიცილიდან სამშობლოს ერთგული შვილის ძიება — ასეთია პოეტის მიერ რეალურობიდან შეწოვილ შთაბეჭდილებათა დიაპაზონი.

„სად არის პოეზია?“ კითხულობს ვაჟა-ფშაველა. პოეზია იქაა, სადაც ინტუიცია, შემოქმედებითი აღლო გაუცნობიერებელსა და ხელით მოუხელოებელ სამყაროს ადგამს თვალს“...

„რა არის პოეზია? — ამ კითხვას სამყაროსთან ერთად დაბადებულს სულ სხვაგვარი მშვენიერებით ეხმიანება საიათნოვას ერთ-ერთი ლექსის სტრიქონი: „ისე იტყვის იგრძნოს და ვერ გაიგოს“...

„იგრძნოს და ვერ გაიგოს“ — ეს არის პოეზია.

მაგრამ არც ესაა ზუსტი და ნანატრი პასუხი.

მარადიული სიცოცხლით დაჯილდოებული კითხვის — „რა არის პოეზია?“ — „ზუსტი და ნანატრი პასუხი თვითონ პოეზიაა ანუ ესა თუ ის პოეტური ქმნილება“.



ვკითხულობთ ვაჟა ეგრისელის ლექსებს და ვგრძნობთ, რომ იგი რომანტიკული განწყობილების პოეტია. თითქოს უშუალოდ მოწმე ვხვდებით ცაში აჭრილ ფრინველთა უცნაური რომანტიკული სიყვარულისა. სუბიექტური ხედვა და მართალი ტალანტი გაიძულეებს გიყვარდეს ვაჟა ეგრისელის ტიტლიკანა ვარსკვლავები, მეტეორების თვითმკვლელობა, მთვარის საათი — (უღმობელი დრო), იგივე ბუნება, რაც უკიდვებანოა და უნაპირო და მაინც, შეუდარებელია ზღვის ოქრონარევ ქვიშაზე აელვარებული მზის მარმაშები:

\*

„შავი ზღვის ოქრონარევ ქვიშაზე,  
ბრწყინავს და ელავს  
მზის მარმაშები.  
ცაში დრუბლების ორმოები ჩანს ამოთხრილი.  
პოსეიდონს კი ქარის ეტლზე ზვირთთა რაშები  
შეუბამს...  
და დაჰყავს ზღვაზე  
დაოთხილი“.

თუ გონების თვალს მოვაველებთ ვაჟა ეგრისელის პოეტურ ხატებას, ვიპოვით იმ ერთიან, ზოგად შეგრძნებას, თავიდან ბოლომდე რეფრენივით რომ გასდევს ამ მრავალწახნაგოვან სამყაროს და ყველაფერი, რასაც იგი აკეთებს, ნაღლია, გულწრფელია



და ქართულ დედაძარღვზეა დაფუძნებული. ყველაფერს ატყვია ნიჭიერი შემოქმედის ხელი. კოლხეთის კოლორიტი გაცოცხლდა წინაპართა სხივნათელ სახეთა გაღერებაში. პოეტის სულს არ სტანჯავს სკეპტიციზმი და ანგარება. ყველაფერი ღირებულია, რაც ჩვენს ირგვლივ ცოცხლობს და იქმნება. სიცოცხლესაც მეტი ფასი აქვს და სიკვდილსაც...

\*

„ნიავის ხმაზე,

ადრიანი გაზაფხულისას,

სასაფლაოზე ამოსული ბალახის ღერით

და მისი ფესვით,

მიცვალებულნი გვიხმობენ ჩვენი.

მაგრამ რად გინდათ,

მათი ჩურჩული,

ჩვენ აღარ გვესმის“.

გაზაფხულის მობრძანება მრავალგვარ მხატვრულ ასპექტში ისახება ვაჟა ეგრისელის პოეზიაში. მისი ლექსების წაკითხვისას სიფაქიზისა და სიწმინდის შეგრძნება გვეუფლება. ეს ჭეშმარიტი სიწმინდისა და სილამაზის საგალობელია და პოეტი იმდენადაა დატვირთული ცხოვრების მრავალფეროვნებითა და სახეების სიჭარბით, მზადაა ერთი ამოსუნთქვით გათავისუფლდეს მოზღვავებული დამბანგავი ტვირთისაგან:



\*

„მოხავერდებულ ფრთებით პეპლების,  
როდესაც მოვა  
ყვავილთა თოვა,  
როცა ბაღს დაჰკრავს ფერი ზაფრანის.  
მივალ სოფელში —  
ბილიკით  
ხსოვნის,  
რომ მივეფერო ძვირფას საფლავებს“.

ეს ლექსი საყურადღებოა იმით, რომ მღვლვარე ფიქრებს იწვევს და გვაგაღებულებს პატივი ვცემთ წინაპართა ხსოვნას. პოეტი სულ იმის ცდაშია, უკვდავოს ის მხარე და ის ადამიანები, ვინც იგი წარმოშვა, ვინც მეობა მისცა და თავანკარა სიწმინდე, ბაჯადლო პატიოსნება და ხასიათის მგზნებარება დაანათლა, პოეზიის ღმერთთან წილნაყარი გახადა.

რამდენი სილამაზე, აღფრთოვანება და სიწმინდე იგრძნობა ლექსში „ეს მთები“.

\*

„პატარა კახივით,  
ყინვის ჯაჭვის პერანგს,  
გაზაფხულს გაჰკრავენ  
როცა ბრაზდებიან.  
ეს მთები კი არა,  
ჩემი წინაპარი,



დევებთან მებრძოლი —  
ბუმბერაზებია“.

გაზაფხულის სურათები პოეტს სჭირდება ფონად, რომელზედაც აღბეჭდილია ადამიანთა ხასიათები, წინაპართა სახეები. გაზაფხულის ლექსებით პოეტი მიგვანიშნებს, რომ მისთვის ძვირფასი და კოსმოსის ღვთაებრივი საიდუმლო — შორდება ობიექტურ სამყაროს და ახალი პოეტური ხილვებით დატვირთული ხმამაღლა ამბობს:

\*

„დგას გაზაფხული და აპრილის ტოტებზე —  
კვირტებს აფეთქებს  
ნაღმივით.  
და კვამლში ბოლავს ცის ერთი მეცხრედი.  
ღამე კი დილაღდე —  
მზის ბუხარს აღვივებს —  
ვარსკვლავთა ნაკვერჩხლებით“.

პოეტის მხატვრული სახეების ეს ცხოველმყოფლობა იქმნება ცოცხალი თუ უსულო საგნების, იდეების, ასოციაციების, მისწრაფებების ლოგიკური კავშირით. პოეტის გაბედული და ამავე დროს სასწაულებრივი წარმოსახვა უტყუარი სახეებით გვაგრძნობინებს სამყაროს ფიზიკურ და სულიერ ურთიერთ-



ბას. მშვენიერების გაუკვდავებით მზისა და მთოვარის ლამაზი ქვეყნისაკენ სწრაფვის ძღვევამოსილებას:

\*

„სიკვდილი?

იქ სიკვდილს რა უნდა?

დრო მიდის სულ თამაშ-თამაშით.

ყველა და ყოველი მყუდროობს —

მზისა და მთოვარის ქვეყანაში —

სადაც ვარსკვლავები ბუდობენ“.

„პოეზია მხოლოდ მაშინ აღწევს პიკს, როდესაც ახალი, მხოლოდ შესაძლებელი სიტუაციების, ანუ მეტაფიზიკური სინამდვილის გამოგონებასა და ასახვას კი არ ღამობს, არამედ მაშინ, როდესაც წარმოსახვაში აღორძინებს და ცოცხალ რეალურ სახეს სძენს სინამდვილეს, მართლაც რომ გონით მიუღწეველთა და ცხოვრებისეულ კავშირს... ამ ღვთაებრივი კავშირის აღმოჩენის ხელოვნებაა პოეზიის უნიკალური სიდიადის ნიშანი“.

ვაჟა ეგრისელის, როგორც პოეტის ბედნიერება ისაა, რომ იგი სრულიად თავისუფლად უმუღავენებს მკითხველს ფიქრებსა და ზრახვებს, გულისნადებს, საცნაურყოფს სულში დანთებულ ვნებიან ქარცეცხლს და მთელი არსებით წარმოაჩენს თავის და-



მოკიდებულებას ყოველივესა და ყველაფრისადმი და მკითხველიც ადვილად რწმუნდება პოეტის სულის სიმტკიცესა და შეუდრეკელობაში.

**ციალა მუსხია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწყვეტი წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)*

*გაგრძელება შემდეგ ტომში*





## თბილისი

პიტალო მთების ყდაში ჩასმული  
თბილისი,

ქართველის დიდი წიგნია,

სადაც ამბავი წერია შიგ გაუგონარი  
და მტკვარიც იქ დევს,

როგორც ზონარი.

1960

## ლტოლვა

ჩამოიცრიცა სიმყუდროვე

მაღალი ზეცის

და ეპარება...

ეპარება მაღალ სამყაროს

ჩვენი სიცოცხლის შორი ციმციმი,

მაგრამ უამს უნდა

დაბლა დახაროს –

ყოველდღიური ფიქრთა სიმძიმით.

1968



**მაშინ თბილისში...**

მინდა ვიხილო შემოდგომა –

ჩემი სიცოცხლის, –

ჩამოსუნძლული

იმედების მწიფე ნაყოფით.

და თუ... შუა გზაზე დამეწია

დამე ტიალი,

მაშინ თბილისში,

ჩემ მაგივრად,

ჩემი არყოფნა

და ჩემი ლანდი იხეტიალებს.

1968



## ზაფხულის ბაღში

ზაფხულის ბაღში,  
კოლხურ საღამოს  
იგალობებენ როცა შაშვები,  
როცა ოღებში  
იმედივით შუქი იალებს,  
მაშინ ვარსკვლავებს უნდათ აშვეება  
და ისმის ციდან  
უმძიმესი ჯაჭვის ზრიალი.

1961



\*\*\*

შენი სიშორით დაჭრილი ხოლმე,  
ვით მონადირე,  
ვეპარები ზღვის სიახლოვეს.  
ზღვა არწივივით აფრენას ღამობს –  
ღამის კიდეზე  
დამფრთხალი ხომლის  
მოახლოებულ  
სიშორის გამო.

1963



## ნაკადულები

ნაკადულები ტყეში ისევ  
დათარეშობენ  
და მიიქნევენ  
ხვლიკისფერ კუდებს.  
მე კი ვზივარ და...  
კვლავაც ვდარდობ იმ ხეს,  
რომელშიც  
ჩემი ღამაში სიკვდილი ბუდობს.

1965



## ადამი და ევა

ბებერი უამი აქანავებს  
სიშორის ტოტებს,  
ცვივა და ცვივა  
ლოცვა და შიში...  
ბლავის ზვარაკი...  
წუხს ღამეთა უშქარი თევა.  
უფრო შორს,  
სადღაც,  
ბიბლიური ლექვების ჩრდილში,  
დედიშობილა ზის მოხუცი ადამ და ევა.

1964



## წარმართი კოლხთა ღმერთა კალენდარი

მზე და მზის სიყვარული,  
ცას მწვერვალებად ესხა,  
ისმონდა კოლხთა ლოცვა:  
თუთა,<sup>1</sup> თახა,<sup>2</sup> ჯუმა,<sup>3</sup> ცაშხა,<sup>4</sup>  
ობი,<sup>5</sup> საბა,<sup>6</sup> უეშხა.<sup>7</sup>

1957

---

1,2,3,4,5,6,7 – კოლხური პანთეონის  
წარმართი ღმერთების დასახელება





ია

ღურჯად გახელილი თვალით,  
ეთამაშებოდა ნიავს,  
სანამ ქარი მოხუც ხეებს  
ფესვიანად ამოთხრიდა,  
მანამ ბუჩქის ძირას ია,  
                  მოსულს ჰგავდა –  
სამოთხიდან.

1953



## სამი რაინდი

სამმა დიდმა რაინდმა –  
უშბამ,

შხარამ,

თეთნულდმა,

სიხარული მაჩუქეს! –

როცა,

ვით სამლოცველოს,

შემახედეს მზით სავსე –

მურყვანებს და მაჩუბებს.

1958



## რუსთაველს და პინდარეს

აირია ქვეყანა!!!

აწი,

კაცმა არ იცის,

როდის გამოიდარებს!

და მე ვუხმობ საშველად

რუსთაველს და

პინდარეს!

1992



## სიცოცხლე, სიკვდილი

სიცოცხლე –  
უცოდველი ბატკანია,  
სიკვდილი –  
მხეცი და ნადირია! –  
მიჰყვება დამეუღ  
გზა-შარას...  
შვილმკვდარი დედები –  
უცრემლოდ ტირიან,  
რადგანაც,  
მათი ცრემლების ზღვა დამშრალა!!!

2017



**ნეპტუნი და ურანი**

შენ კი არა,  
პოეტო,  
მზე რომ მზეა,  
თვით მზესაც,  
ბევრი ჰყავს მომდურავი:  
მარსი, იუპიტერი,  
მერკური და ვენერა,  
ნეპტუნი და  
ურანი.

1969



## ცას მიაღვი რწმენის კიბე

უნაყოფო ცხოვრების ხე,  
ქცეულიყავ რომ ვენახად,  
გზა განლიე დიდზე დიდი...  
და უფალი რომ ვენახა,  
ცას მიაღვი რწმენის კიბე,  
ზღვაზე –  
ლოცვის გასდე ხიდი.

2018



**ხილვა: სპარსთა ლაშქრობა**

“გიაურთა”,  
ქართლ-კახეთის მოსრავი,  
მოდის ურდო ურიცხვი...  
მაგრამ არ ჩანს ჰაფეზი.<sup>1</sup>  
აღარც ნიზამ განჯელი,<sup>2</sup>  
სანაი,<sup>3</sup>  
ანვარ,<sup>4</sup>  
ათარი<sup>5</sup>  
და არც ნასერ ხოსრავი.<sup>6</sup>

1991

---

1,2,3,4,5,6 – სპარსი პოეტები



## ჩემო ქართულო

მომიასკლოვდი, ჩემო ქართულო,

მე შენი ვალი –

მსრებზე მაწევს

განაჩენივით,

შენ მომიტეხე უკვდავების

ძირ-მწარე ყუა.

და ვხედავ,

ახლა,

მნათობივით

ვარ გარჩენილი,

მქროლავი ჟამის და სივრცის შუა.

1973





## სამოთხე

მზედ რომ ავვარდე მამადავითზე –  
მომივლის ჟინი,

ვითარც იაშვილს;

რადგან დღე და ღამ –

იდუმალი

სმათა ფარჩებით,

ვიღაც მეძახის გეჰენიაში...

მე კი აქ მინდა...

და აქ დავრჩები.

1980



## უდაბნოები

აქ იხოქებდა ოაზისებთან –

შორს მიმავალი ქარავანი

საუკუნეთა

და ხახამშრალი თრთოდა წყურვილი –

გავარვარებულ ხმაში მონების.

ხელაპყრობილი იდგა ღოცვა

ყელამდე შიშში,

რადგანაც უტყვი უდაბნოები –

მოქსოვილია ქართთ და

ქვიშით.

1971





## ილორი

მწუხრში ზრიალით განიხვნება  
ცათა კარები,  
ლოცვების ბურუსს  
მიმოფანტავს  
ზესთა კრებული.  
დარეკავს წამი –  
უხილავის მოსახილველი,  
განმიცხადდება მგოსანს არსი  
ზეარსებულის  
და ფრთე ნათლისა გადამივლის  
სახით –  
ფრინველის.

1967





## უკვდავსაყოფად

უტყვი მოწმენი გმირთა დიდების –  
დგანან მუხები,

დგანან შინდები.

მარტო დიდგორი...

მარტო მარტყოფი

და სიმამაცე იმუამინდელი –

ეყოფა ქართველს

უკვდავსაყოფად.


1975



\*\*\*

ისევ შენა ხარ ჩემი მსაჯული,  
რადგანაც შენი  
სიყვარულის  
ოქროს პალოზე –  
ვარ მიჯაჭვული.  
და იობივით კიდევ დიდხანს  
ავიტან ტანჯვას,  
ო, არა უშავს,  
თუმცა?..  
მოთმინების ჯაჭვს ლოკავს  
უამი,  
ვითარცა ყურშა.

1981



## მონადირე

დაუმიზნა როცა თოფი ნადირს,

ტყე გარინდდა,

უსწრაფესად ქორის,

ცას ახედა მძინარს,

სისხამ დილით

დააბრმავა შუქმა:

ნახა მნათთა შორის –

როგორ გაჰყვა ქრისტე ელვის

ბილიკს.

1968





**სიყვარულის კვირიონებს**

წყვდიადიდან ამოსული –  
მზე კოლხური  
და ქართული,  
გზას შორეულს გიიოლებს,  
ცად აყავხარ ფრთის  
ფათქუნით,  
სიყვარულის კვირიონებს.

1970



\*\*\*

მთებია მიწის ბოღმა და დარდი,  
ცა –  
ზღვა არის და  
იქ ვარსკვლავები –  
მიმოყრილია ოქროს ქვიშად და  
მოდუსკებად,  
მთვარე ამიტომ შუბლს იკრავს და  
არის ნაწყენი,  
გულკანი არა! –  
ეს, მთებს შიშით გული უსკდებათ,  
მიწის პირიდან –  
სისხლის ლავას როცა არწყევენ.

1959



## პირველი სიყვარული

“მე, ერთს გჭერებ ორსაგ სოფელში”.  
ჯალალ-ედ-დინ რუმი

ცხადია თუ ფარული –  
ჩემთვის ორივე ერთია.  
შუაზე არ იყოფა,  
პირველი სიყვარული,  
ამ სოფლად და იმ სოფლად.

1961



## გათენება

არა ჩანს,

მაგრამ ღრუბლებში

კრთის ნათლის ჩრდილი ცახცახა,

ზღვას ქარი აღარ მოურჩა,

მთაზე ნისლი არ იღევა...

დაუბჩენია ცას ხახა,

და მკედარს აქა-იქ მოუჩანს –

ვარსკვლავთა ოქროს კბილები.

1964



## განათლა ბნელი

დიდი ხნის მერე,

“იქმნა ნათელი!”

განათლა ბნელი

და სიხარულის –

ცრემლი სდის თვალებს და მომქუხარებს,

და სიკვდილივით მუდამ ფარული,

ბედნიერებით – შენ ხარ

მწუხარე.

2001



## სხვა არაფერი

ზღვაა –

ეს ცხოვრება

და ჩვენი დღეები –

დელვაში გადიან –

გაშლილი აფრებით,

სიცოცხლე –

სიკვდილის თანმდევი ლანდია,

სხვა არაფერი.

1986



**მისმე და...**

მიყვარხარ!

და როცა წასვლას დააპირებ,

გაიფურჩქნებიან –

არყოფნის იარები,

ცრემლებს ჩამოყრიან ფოთლებად

შინდები,

როგორც სიცოცხლეში,

ნულარ შეშინდები,

მისმე და...

სიკვდილშიც შეგეზიარები.

2000



## სარკოფაგები

მიწა დევია –

ჰაუ, რამდენი

ჩაუყლაპავს ჩვენი თვისტომი;

ჩვენ მუცელს ვუჭრით და ამოგვყავს

სიმღერა გედის,

რომელიც მღვრიე წარსულიდან

მარადუამს გვესმის.

და... ჩონჩხადქცეულ სიცოცხლის

გვერდით,

ოქრო და ვერცხლი...

შური...

მტრობა...

ღალატი...

გესლი –

ასვენია სარკოფაგებში.

1969



## ბუხარი

სივრცეებს თოვლის სევედა ანათებს,  
მიწის გადაღმა –

ჰელიოსის სული ინთება  
ჩამქრალ მნათობთა მტვრით და  
ბულულით.

ბუხარი დგას და ცეცხლის –

თითებით

ივარცხნის კვამლის ღამაზე კულულებს.

1979



\*\*\*

ტოტებზე ისხდნენ  
მოწყენილი  
მზე და ჩიტები  
და ოქროსფერი თვლემა ეკვროდა  
ოქროში მცურავ –  
ლამაზ არეებს.  
და შემოდგომა,  
გუმბათოვან ტყის  
სამრეკლოდან  
რეკდა სიყვითლით დაავადებულ  
ფოთლების ზარებს.

2005





## პატარა ბავშვი

ზღვას გასცქეროდა პატარა ბავშვი  
და თოლიებთან დაფრინავდა –  
უმანკო სული.

ხოლო შორს,

სადღაც,

მთათა მიღმა მდგარი ღრუბლები,  
ეჩვენებოდა ხან დევებად,

და ხან ვერძებად,

ან ფაფარაშლილ, ყალყზე შემდგარ  
ურა ცხენებად.

და ვერ ამჩნევდა,

ქარის ტოტზე შემსხდარი ტალღა,

რომ მოდიოდა –

მისი სულის მოსასვენებლად.

1968



\*\*\*

ჩორთით,

ოთხით,

თოხარიკით,

ზღვას,

სანაპიროს ცხელ ქვიშაზე

დააჭენებენ.

მაგრამ ვერაფრით, მაგრამ ვერაგზით,

ვერ ათვინიერებენ გრიგალები.

1989



## რწმენა

ვით უბადრუკი ჟამთა დინება,  
წარმავალია

ქვეყნად ყოველი  
და დრო არ გვრჩება  
საკუთარი ბედის გლოვისთვის,  
მაგრამ...

მე მტკვრისპირ ვიდგები,  
ვით სვეტიცხოველი,  
ქართულ მიწიდან ფეხს არ მოვიცვლი.

1966



\*\*\*

სიმყუდროვიდან გრიგალი  
როს აღმოცენდება,  
მაშინ ზღვისკარად  
მივდივარ გესა,  
და შორეული –  
ზღვაოსნის მოდგმა,  
ყურს ვუგდებ მიწის  
მკვდრით სავსე  
კენესას  
და შავით მოსილ ზღვის  
ფარულ მოთქმას...

1965









## მზის დასასრული

ცის ლურჯ ბადეში ჟივჯივებენ  
ჩვენი დღეები,  
მზიან იმედებს  
და ვარსკვლავებს  
ისევ კენკავენ,  
ზღვა და სიცოცხლე, ვით აროდეს,  
ისე მოშივდათ,  
რადგან ერქმევათ მალე –  
“წარსული”,  
რადგან ჩამავალ მზის –  
თეთრ კოშკიდან,  
ვითარცა ღამე, მოსჩანს ჩვენი გზის  
დასასრული.

1968



\*\*\*

ჩემთვის ქვეყანა ჩამოლუსკუმა,  
დედის თბილ ხსოვნას ცრემლებს  
ვერ ვაღვრი,  
მწუხარებისგან ცრემლდაშრეტილი  
და პატრონმკედარი.  
მე ვარ ის ძაღლი,  
მეგრული სახლის ლაფაროსთან  
ცას რომ შესტირის.

1983



## ზღვის ყურე

ზღვის უზარმაზარ სასაკლაოდან  
უამი-უამ იმის

ზვირთთა ბლავილი.

და აი, ახლა,

ღამემ მასტუმრა ზღვას და...

შორიდან მომავალი ღელვა მიყურებს.

ცივი ქარიშხლის

სველი ტოტი უდევს სასთუმლად

და წელში მოხრილ

მთვარის ჩრდილქვეშ

სძინავს ზღვის ყურეს.

1965



## ერთი ნაბიჯი

ყოფნა,

არყოფნა –

ერთი ნაბიჯი

და იმ ერთ ნაბიჯს სულს ვწირავთ და

ვევდრებთ უხილავს,

ვით წმინდანები მამა მარკოზ

და თეოფილი.

და ნაბიჯს აქეთ, ცას, –

სიცოცხლის წვდება

ქუხილი;

და ნაბიჯს იქით –

სიწყნარეა პირველყოფილი.

1967



\*\*\*

ზაფხულ და ზამთარ აქ ყვავილობს  
დრო –

გარდასული,  
ქეგლებს და ბორცვებს –  
თაეზე ადგათ

სსოფნის ნათელი,  
თუმც არასოდეს იცილებენ  
დარდის საფარველს  
და როს ჩავივლი,  
არა მსურს, მაგრამ  
სხვა ჟრუნტელით,  
სასაფლაოსკენ თვალს გავაპარებ.


1966



\*\*\*

ქარის აკვანში ზღვა ისევ წევს  
დედიშობილა,  
და აი, ახლა, დილაადრიან –  
ღამენათევი ცისფერ ჩაღანით, –  
მარტოდ რომ მიდის, – ზღვის ბილიკზე,  
ჩემი ღანდია,  
ზღვისებრ დიდგულა  
და ქედმაღალი.

1964



## ზოგ-ზოგებს

რუსთაველის საქართველო,

რომ იწვის და

რომ იქცევა!!!

არ ადარდებს ეს პოეტებს!

მათ იციან,

რომ ამისთვის

არვინ აყრით ეპოლეტებს.

1993





## იმედი

ვითარც ისნის ვარსკვლავი,  
ჩაუქრობლად ენთები...  
და სივრცეებში ხეტიალს  
იწყებ და...  
განა ამთავრებ!  
შერჩები, როგორც ცას მთვარე  
და დედამიწას ეს მთები.

2015



## სასაფლაო

ახლო არა,

შორი გზიდან,

სასაფლაო ჩანს მდიდრული.

და საფლავეზე მდგარი ჯვრიდან,

ისე, როგორც გოლგოთიდან

გვჭკვრეტს ქრისტე –

თავჩაქინდრული.

1963



## კვამლი

უფლის გარდა არვინ უწყის,  
ადამის ძის ხვაშიადი, –  
მიწაზე რომ არ სურს

მოცდა!!!

კვამლიც წყევლად ცაში ადის,  
რომ ამაღლდეს!

და მერე კი,  
დაუბრუნდეს მიწას ღოცვად.

1968



**ხილვა: ხაიაში და ჰაფეზი**

ღვინის აზარფეშებით –  
ალაჰისკენ იჩქარის  
და მრევლს მისკენ  
  აქეზებს –  
ომარ ხაიაში და...  
დრტვინვა ესმის  
  ჰაფეზის.

1967



N-ს

მწამს,  
მოგწყინდა ჯოჯოხეთში,  
უსაქმოდ და უქმად  
ყოფნა!  
და დროც მიტომ გეღავა!  
შენც მიღიხარ –  
იმ დიდ სოფლად,  
უკან მოუხეღავად!

2018



## მთვარის აქანდაზი

გრიგალი რომ გამოჩეკოს,  
დედამიწის ოგვაჯეს\* კი,  
ზღვა კრუხივით აქაც აზის...  
ცას უჭირავს ვარსკეღავებით  
სავსე –  
მთვარის აქანდაზი.

1963

---

\* ოგვაჯე (მეგრ) – საბუდარი



## მოენოსი და ხობოსი

აიეტის კოლხეთის  
ხმა,  
ვით ძველი სამშობლოს  
ნახვა, ისევ სწყურია:  
მოენოსა<sup>1</sup> და ხობოსს<sup>2</sup>,  
ფაზისს<sup>3</sup>,  
დიოსკურიას<sup>4</sup>.

1980

- 
1. მოენოსი – ოჩამჩირე
  2. ხობოსი – ხობი
  3. ფაზისი – ფოთი
  4. დიოსკურია – სოხუმი



## ზაცხა მებრული

თვალს აბრიალებს,  
ფერფლად ქცევას  
წუხს ნაკვერჩხალი,  
გარეთ ცა ტირის და წყვლიადია  
შიშს უყეფენ და  
ნაგაზები სოფელს იკლებენ.  
ნაცრით დგებიან და ცეკვავენ  
აღზე ჭინკები,  
კვამლის თოკებით მერე სიყრმის  
სხვენზე ადიან.

1959





**იობი**

მაღალ ღმერთებთან საუბრისთვის  
დასაჯა ზენამ,  
ფუთფუთა მატლი,  
ფიქრთა მატლი, ეხვევა ღრუბლად,  
თუკი დავარდა,  
აიყვანს და დაისვამს წყელულზე.  
ზის მოთმინების სამფეხა სკამზე  
და მოწიწებით პოეტი – იობი,  
მადლობას სწირავს ტანჯვისთვის უფალს.

1970



\*\*\*

ოკეანისკენ მიიქცევა გზა –  
შენეული,  
შვილი ვარ შენი...  
და ვალი რომ გადამეხადა  
მრავალი დილა გავისისხამე, –  
შენ გიგალობდი...  
მოწმე ალბათ ცაში  
ღმერთია,  
მაინც ვალში ვარ...  
ფიქრში კვდება მაისის ღამე,  
რაც გაგალობე, ზღვაო,  
ალბათ,  
ზღვაში წვეთია.

1967



\*\*\*

დედამიწაზე დაუტევარი პოეტის სული  
მკვდარი

ნახევრად,

აი, ახლა

უხმოდ გდია ძილის

მინდორზე,

დაჩხავის ღამე...

და ფრთაშავი

სიზმრები ძიძუნის.

1970



\*\*\*

რბევად მოვარდა გულობორგნეული,  
მისაგებელი –  
ცას და მიწას ისევ მიაგო.

აღარ დაწყნარდა,  
არ მიღულა თვალი  
წამითაც, არ მოასვენა მუხლი –  
დაღლილი  
და... ქარიშხალი როცა წავიდა,  
ზღვა გაეტირა უკან  
ბაღლივით.

1966



\*\*\*

მტკვრის ღამაზ სარკეს ჩასცქერს  
თბილისი  
და ხედავს წარსულს...  
თვალებს ახელს მტრობა ფარული,  
რომელიც მთებმა დიდხანს იჯავრეს:  
ცეცხლი...

ყიჟინა...

ხმლის კაშკაში...

ცხენთა თქარუნი...

ქართლის დედების მოთქმა...

წყევლა...

ლოცვა...

პირჯვარი...

1968



## თუ არა იგი

თუ არა იგი,  
ამ მაღალ ხეებს,  
ჩვენ რომ ვზრდიდით და ჩვენ  
რომ გვიყვარდა,  
კუბოს საფიცრედ ვინდა გათლიდა?  
თუ არა იგი,  
მხოლოდ ერთხელ  
ვინ წაგვიყვანდა –  
იმ სიბნელეში...  
ამ სინათლიდან.

1970



## მიწის ტკივილი

სასაფლარო მიწის ტკივილი,  
ია-იების თვალები რომ  
  მზემ აუხილა –  
მამის საფლავზე უკვე მეშვიდედ.  
სასაფლარზე –  
  ფეხაკრეფით  
დადის წუხილი,  
სასაფლარზე –  
  ჰყვავის სიმშვიდე.

1985



\*\*\*

ციდან მოფრენილ ღამაზ ფიქრივით  
მოულოდნელად,  
სწრაფად და უცებ  
,სანაპიროზე, როგორც პერგამენტს,  
ზღვა – გაშლის ზვირთთა  
მძიმე  
გრაგნილებს,  
ქარი  
გაფანტავს თოლიების –  
ქათქათა ფურცლებს.

1964





\*\*\*

მზე მიიდრიკა,  
და მიწენარდა –  
სხივთა ნადური,  
ცვარის ძახილზე გაიღვიძა  
ყვავილმა კუსმის.  
ღელვის ნაპირზე –  
მოწყენილი ზის  
მეზადური  
და ზღვის მოქცევის გალობას უსმენს.

1963



\*\*\*

გამოვეთხოვე ღამის წამებას  
და შენსკენ მქროლავ,  
აღვირახსნილ დღეებს  
მივსდიე...

გავადე გული,  
როცა ცისკრის  
მესმა კაკუნი.

და, აი, ახლა,  
სამიზნედ, ვით  
ველურ ინდიელს,  
მე,  
შენს სიყვარულს,  
ტანჯვის ბოძზე ვყავარ გაკრული.

1967



\*\*\*

აჰა, აპრილი,  
ვისაც უკმევდი,  
დედაო-მიწაე! –  
თეთრ აკაციას,  
ღირიუორივით მოქათქათე უჩანს  
გულ-მკერდი,  
გარეთ კი მწვანე ფრაკი აცვია.

1959



## თბილისი-ფოთი

“თბილისი-ფოთი” მანძილსა და  
დამეს იცოხნის,  
ლიანდაგივით ხელები მეც წინ მაქვს  
გაწვდილი,  
რადგან მშობლიურ  
სამეგრელოში  
თვალცრემლიანი ისევ მეგულის –  
ჩემი ბავშვობა  
და სიყმაწვილე  
და ძიღგამტყდარი “ნანა” მეგრული.

1988



\*\*\*

მღელვარ ზღვასთან მდგარ ჩემი  
მამულის  
ციდან ჩანჩქერი მოქუხს  
ფერების,  
და ყველასგან დაუფარავად –  
ჩემი სიცოცხლე  
კვლავ ეფერება  
ქართლის ველებზე წამოწოლილ  
მთათა ქარავანს.

1977



\*\*\*

როცა კანდამსკლარ ბროწეულივით  
მზე –

დასალიერს მიეწურება  
და როცა მთვარეს გაიღიმებს  
ზეცა –

ქართული.

მაშინ ათასფრად ოქრონაფენი –  
მოისმის ლურჯი

ფრთების ფათქუნი:

ზღვა მხრებს ისწორებს  
და ბუდიდან ლამობს აფრენას.

1966



### ჭრიჭინები

როცა ხელთ აქვთ მიღებული  
მთვარის ჩანგი,  
და ვარსკვლავთა  
ჭუნირი და ჭიანური,  
როცა ზეცა,  
თოლიებით დათოვლილი  
ზღვის ფერია,  
ჭრიჭინობლებს მაშინ ერთი,  
მოსდით აზრი ჭკვიანური:  
მიდიან და შენ სარკმელთან –  
ჩემს მაგივრად  
სერენადას გიმღერიან.

1969



\*\*\*

შეჰკედლებია ზეთისხილის ჭაღას  
ფრთოსნები,  
ცა უცებ ხურავს –  
შელამების ფერად  
მარაოს  
და დღეს ნათელი შუბლზე აშრება.  
მოუმწვედევია  
პაწაწინა –  
ტაღლა ნაპირთან  
სიოს და ჩუმად ეთამაშება...

1970





**არაზონ, არსად**

ლოდიდან ლოდზე,  
დღისით და ღამით –  
გადავიწყება დაცოცავს ხავსად...  
ღამის ჭიშკართან წარსულ დღეთა  
მიმწყდარა ჩქამი...  
არავინ,  
                  არსად...

1965



\*\*\*

ცეცხლისთვალეა მზე,  
მშობელი მამაა ჩემი,  
მთელი დღე შრომობს –  
სხივთა მარცვალს თესავს და თესავს,  
ადარ ისვენებს არცერთი წამით,  
როდესაც ჩავა,  
დაქანცული წევს სიხუმეში,  
და... რიურაჟამდე აბოლებს ღამეს.

1965



\*\*\*

ზღვა, ვითარც ფარა, დასამწყემსავი  
ადგა,

აბღაგლდა

და შორიდან მომესალბუნა.

წამსვე გრიგალი ამოვარდა და

გახელვებით

ექგერა ზღვას და...

გადაუგრიხა

ჩემსკენ გაწვდილი

ზვირთთა ხელები.

1967






## გზაჯვარედინი

ყოფნა-არყოფნის გზა –  
ჯვარედინი,  
გაჩენის დღიდან გვიტვალთვალებს ისე  
მრისხანედ,  
ვით საქართველოს – ჯალალედინი.

1959



## მომენატრება

ჩემი ბავშვობა

ჩამოტეხავს ჭონტოს

ჩიტლელვას,

აივსებს უბეს პარას თხილით,

ომას ატმებით

და... წაიქცევა...

ბავშვის ტირილს როცა გავიგებ,

ჩემი ბავშვობა,

ჰოი!

როგორ მომენატრება.

1967



\*\*\*

სიმყუდროვეში,  
სადაც ღვანან მთები დიდრონი,  
ვიდექ, ვითარცა პოსეიდონი,  
და ჩემს მშობლიურ ცას გავყურებდი:  
ნაფეხურები  
გაზაფხულის  
ჩანდა ყურესთან  
და გაფოთლილი ზღვა  
თოლიებით.

1964



\*\*\*

ღამის გუმბათზე –  
მნათობების უცხო ფარფატი,  
მთვარის სვეტები...  
მოვარდისფრო ღრუბლების თაღი.  
აღმოსავლეთის ცის კედელთან მზე,  
როგორც ნაღმი,  
დალახვროს ღმერთმა...  
ქალებზე ფიქრი,  
პოეტს კი არა,  
ეშმაკსაც დაღლის.

1978





\*\*\*

გვიან...

როდესაც

დავიწყების ვიწრო ბილიკით

ჩამოივლის და ხართვალა

შემომეჩვენა,

მაშინ,

ო, მაშინ,

სხვისი მზე არა, ჩემი ქართული,

სხივებს ჩაგზავნის

და მომკვების და ძვლებს

გამითბობს,

მარტოყოფნის ყინვით გათოშილს.

1979



\*\*\*

სსოვნის ნისლიან ლაბირინთებში –  
უცებ გადირბენს

ფეხაკრეფით

შენი წარსული,

რომელიც დიდხანს სულს მიკორტნიდა.

და, აი,

ახლა,

წუხილის ხის ბებერ ტოტიდან

ცვივა ცრემლების თოთო

ნაყოფი.

1969



\*\*\*

ზღვები

მაღალ მთებს მისწოლია

გველესაპივით.

წუს დედამიწა

მძვინვარ ყბებში

ოკეანეთა.

1962



## მთეპი

ქალაქის ირგვლივ შემოწყობილან  
და დაუხურავთ

მომთვარეული

ღამის მერდინი.

ფიქრში იელვებს

თემური და ჯალალედინი

და მონღოლების ურდო

წყეული.

ო,

არა,

მტერს კი არა,

ჩემი თბილისი,

მთებს სიყვარულის დიდ ალყაში

ჰყავთ მომწყედეული.

1968

\*\*\*

ზიხარ მარტოკა  
მღუმარების  
მოწყენილ კოშკში  
და ლურჯი ჭიდან შენი თვალების –  
კამკამა ფიქრის ოწინართ  
ამოგაქვს ცრემლი  
და სასოებით უსხამ ნიადაგ,  
სიყვარულის ხე  
მაინც ვერ ხარობს.

1969



\*\*\*

ადრე თუ გვიან,  
როს მარტოობის  
ღამეულ ბინდით  
შევიბურები,  
და მთებს როდესაც ჩაესმებათ  
პონტის ბლავილი,  
მკვდრეთით აღვდგები  
და სიყვარულით  
ჩემი თბილისის ხმაურიან ქუჩებს  
დავივლი,  
სიმყუდროვიდან გამოპარული.

1976



## გაზაფხულის წვიმა

კითხულობს ღმერთი

ცის და მიწის წიგნს,

ო, რამდენი აქვს

მოსაგონარი...

ხან ატირდება...

ღირსახსოვარ დღეს ჩაინიშნავს –

ცისარტყელას

ფერად ზონარით.

1969



\*\*\*

თვალეში ისევ ყუჩობს მოწყენა.

შუბლდასერილი,

სიმარტოვის

შავი ფალანგით.

ტანზე მაცვია გაზაფხული,

ვით აქვალანგი,

და შენს დაკარგულ ღიმილს


დავეძებ –

ხსოვნით შებურვილ

ზღვის უსაზღვრო

მღუმარებაში.

1972





\*\*\*

დარდით გაფოთლილ სიხუმეში  
დრო მიშლიგინებს  
და სიბნელეში სინათლის ეშვით  
აბრუნებს მთვარის  
გაბზარულ დოლაბს.

ანთია ღამე...

და ღრმა ძილის უსიერ ტყეში –  
აურაცხელი სიზმარი ბოლავს.

1785



\*\*\*

დამეუღლ ბაღში –  
ვარსკვლავები ისევ მწიფდება,  
მთებმა ნისლეები შემოისიეს,  
როცა მნათობმა  
მწუხრის კარი  
ღია დასტოვა.  
უფალო ჩემო! –  
ცას შევეყურებ.  
და შენს ღიმილად მესახება  
ელვის გაკრთომა.

1965



\*\*\*

ზღვისკარად კანკალებს სიცივე,  
ემტვრევა ყინულის  
ნეკნები.

და მთვარე უდღეო კვიცივით  
ღრუბლებს სძოვს...

ღამეა თებერვლის...

ზღვის ფსკერზე ურიცხვი ვარსკვლავი  
ინთება –

ქარიშხლის შებერვით.


1960



\*\*\*

ზესკნელის ფსკერი გაიბზარა  
მოულოდნელად,  
მერე ღრუბლების დარდმა გაჟონა.  
ბნელმა ჩაუქრო სანთურები მთვარის  
ობელისკს  
და გულგანგმირულ ცის სიმყუდროვეს  
შერჩა იმედად –  
ერთადერთი მანათობელი.

1973



\*\*\*

ფიფქები თოვლის თეთრი თითებით  
ტალღების ცისფერ

კლავიშებზე

სონეტს უკრავენ,

სანაპიროზე როცა ჩავივლი.

ზღვას კი ქარები,

სველი ხელით

ბაგეს უკრავენ,

და მაინც მესმის ვაჟკაცური

მისი ბლავილი.

1972



\*\*\*

იმედები, ვით განთიადები,  
კვლავ ამოდიან –  
სიმყუდროვიდან  
და სიხარულით ისევ მიქნევენ  
მოვარდისფრო დროშას  
მოდმენის  
ამ გაზაფხულზეც  
შენზე ფიქრებით  
და სიმღერებით შევიფოთლები.

1960



## ივლისი

ფოთლოვანებში კურდღელივით  
რბის ნაკადული,

ივლისის ხვატი

უკან მისდევს მეძებარივით

და ვითარც ლეკვებს –  
დღეებს გზა-გზა მიათამაშებს...

გლეხიკაცი კი,

მშობლიური მიწის მორჩილი,

მიწის ფესვივით დგას შუა ყანაში

და გააღებულ მზეს

შესცქერის

ხელის მონრდილვით.

1969



\*\*\*

გამთენიისას შუა კერამ  
მიღულა თვალი  
და ძოწის ფარჩა ნელა აკეცა.  
მოვარდა ქარი,  
ზეცამ მზერა ესროლა  
ბეცი.

ქარის ძახილზე,  
ჩაძინებულ მუხის ნაკვერცხალს  
გაეღვიბა და გაახილა  
თვალები ცეცხლის.  
და მერე აღის პირბასრი დაშნით  
გამოეფატრა ვარსკვლავები  
ღამის შავ მუცელს.  
მძინარი კერა, –  
ბნელში და ქარში,  
ჭრილობასავით გაიხსნა უცებ.

1962



### 300 მაფშალია

მოულოდნელად გამოფრთხიალდა,  
როცა გავხსენი –

ფიქრის გალია.

და ახლა მინდა ერთი ვინატრო,  
რომ ეს გალობა, ვით მაფშალია,  
შენი მაღალი ხსოვნის ჭერქვეშ  
დავაბინადრო.

1966



## პირველ თოვლში

ციურ სიწმინდედ მორღვეულა  
ცათა კარები  
და ფანტელ-ფანტელ  
ძირს ჩამოდის უფლის ხატება,  
რომელიც მუდამ,  
გამოუცნობ  
ნათელში მხევედა  
და, მე ყოველთვის –  
ბავშვის თვალში  
და პირველ  
თოვლში –  
შეუბილწავ და პირველყოფილ  
სამყაროს ვხედავ.

1969



\*\*\*

იავარქმნილა მთვარის თეთრი  
საბრძანებელი,  
ღამის გაღმიდან კვლავ, სინათლის  
ისმის ძახილი,  
სიბრძნე კვლავ ჟონავს  
სულხან-საბას ძველ არაკიდან.  
და შავნაბდიან ღამეს ისევ,  
ვით მენახირეს,  
გაყავს მშიერი მნათობები  
ცის ჭალაკიდან.

1961



\*\*\*

ქართული ცისქვეშ –  
უეცრად რომ გადაირბინა,  
მეხი კი არა,  
მიაქროლებს ულავს უბელოს  
დამარცხებული თურქთა ამირა.  
კავკასიონზე მიმავალი  
შავი ღრუბელი –  
ჰგავს ლეგენდიდან გამოქცეულ  
ღმერთკაც ამირანს.

1962



\*\*\*

საჯიხეებზე ელვა ჩამოდის  
წყვეტილ ყივილად –  
შვილწართმეულ დედა არწივის  
და გარინდებულ სივრცეს აშინებს.  
უამი კი ბნელში ჩამომჯდარა და  
გლესკაცივით

შავ ღამეს  
თეთრ დღედ აშალაშინებს.

1964



## თბილისის დილა

მზე ჭაბუკივით ცის კიბეებს  
მიჰყვება ნელა,  
ცას ქალწულივით რცხვენია და...  
უფრო წითლდება...  
ვღგავართ პირისპირ  
(სიყვარულმა ეს გვარგუნა)  
და საქართველოს მზის სადღეგრძელოს  
მე და თბილისი ვსვამთ ვახტანგურად.

1957



\*\*\*

ზღვა აკვანს ურწევს –  
და იძინებს ფოთი, ყულევი,  
დარაჯად უღვას  
სომაღდების ჯარი ულევი, –  
როგორც სიცოცხლე –  
და ემბლემები თურქთა და სპარსთა  
ახლა არავის უეცხოება.  
და გაჰყურებენ  
ბობოქარ ზღვას ჩვენი გემები,  
როგორც გმირული ბრძოლებით განვლილ  
ღამაზ ცხოვრებას.

1957



## წერო

მდინარე გარბის შიშველ სხეულით  
და ალებივით თრთიან ქეწნები...  
ტალღები, როგორც ათასწლეული  
ტყდება, იმსხვრევა და იძერწება.  
დინებას მიაქვს, რაც კი ქებულა:  
ხმები, ფერები

გზა და სურვილი,  
თითქოს ამაზე ჩაფიქრებული  
წერო წყალს ჩაცქერს მებაღურივით.

1968





\*\*\*

შორს დარჩა, როგორც დასალიერი,  
ჩემი ხორგა და შენი აწყური,  
ჩემს სიცოცხლეში ასე ძლიერად  
მზე და სიცოცხლე შენ მომაწყურე.  
და ჩემი სისხლი შენში გადადის,  
და შენ მაგონებ მთრთოლავ უსურვას,  
სხეულში გვიდგას სიცხე მკათათვის,  
რომელმაც გულებს დეღვა უსურვა.

1985



\*\*\*

ესე სიმღერა  
ზღვის ნაპირას ნერგივით დავრგე  
და მერე ბევრი ვბარე და ვთოხნე,  
და აი, ახლა,  
მსხმოიარე, ვითარცა ვაზი –  
აჰა, მოგართვი საქართველოვ!...  
ჩემს ღამაზ კოლხეთს კიდევ მრავალჯერ –  
ზღვის გალობად დაგისვამ ქნარზე.

1967



## ტყუში

გავარდა მეხი...  
წამოცვივდნენ სველი იფნები,  
მერე გარინდნენ, სუნთქვა შეჰკრეს,  
როგორც თულებმა.  
გამეფლა შიში, ვით სიცოცხლე და  
ჩაფიქრება,  
მაგრამ ანაზად ტყე დაიძრა,  
როგორც თქმულება, – მოვარდა ქარი...  
ხის ტოტებზე ციცქნა ქოხივით  
ბუდე ჰკიდია და ივსება  
მზითა და ქარით.  
დგას ბერი მუხა მოხუცივით წელში  
მოხრილი  
ფიქრობს... ფიქრობს... და  
ვერ იხსენებს გაჩენის თარიღს.

1984

**ველი კრწანისის**

კიდევ ცოტაც და...  
 გამარჯვება ბუკს ჩაჰპერავდა,  
 ხმლით დახნულ ველზე თქმულებები  
 ფესვს გაიდგამდნენ,  
 და ძღვევის დროშად აფრინდებოდა –  
 მოხუცი მეფის ხმა და ძახილი,  
 სისხლს გაიწმენდა პირი მახვილის,  
 მაგრამ... იკივლა უცებ დალატმა.  
 და... ჰა, მას მერე,  
 ველი კრწანისის,  
 ყაყაჩოების ცეცხლით კი არა, –  
 ვაჰმე!  
 სირცხვილით გაწითლებულა.

1963



\*\*\*

ტანჯვის გზაზე მდგარ ცხოვრების ხეზე  
ვართ მიბმულები სიცოცხლის თოკით,  
და არასოდეს გვინდა აშეება.

მაგრამ ყოველთვის  
უცხო თამაშით,

გვინდა,

არ გვინდა –

ბედისწერა გვეთამაშება.

1969



\*\*\*

ზღვაში დამხრჩვალებს და დაკარგულებს,  
თმაგაწეწილი ქარი დაეძებს...  
მოდინ, როგორც ჭირისუფლები,  
შავით მოსილი, შავი ღრუბლები  
ტირიან... და ცა, ელვით იხსენებს,  
მაინც ვერავინ ახერხებს პოვნას  
და... ფსკერზე მშვიდად ვინც განისვენებს –  
ზღვას დაფარფატებს თოლიებად იმათი  
ხსოვნა...

1991



\*\*\*

ირაკლივით გადაჰყურებს კახეთს  
თბილად ცივგომბორი:  
არც თურქი ჩანს, არც ხაზარი,  
მაინც უამი არ ჩანს მშვიდი.  
ალაზნის ველს, ალაზანი –  
მოუჭიმავს როგორც მშვილდი.

1958



## გაზაფხული

ღამის ბილიკით გაზაფხული მიეხეტება,  
ცა ბრაზობს,

ელვა შიშით კანკალებს,  
ტყე ფრთას ისწორებს უამრავი  
ხმით დაყურსული.

ციცქნა ნიავი

გაზაფხულის  
მწვანე ნაკვალევს,  
ვითარც მწვეარი, მისდევს სუნსულით.

1994





## ვარსკვლავების ბაღი

ცისკენ მზირალი  
და გამხდარი დიდგულა დელე  
ტყის სიხუმეში

მიქვითინებს –  
არყოფნის ზღაპარს,  
და სველი ხელით შეღამების  
კარებს კვლავ აღებს.

ხის კენწეროზე  
უდარდელად ისევ თვლემს ყვავი,  
ხოლო შორს, სადღაც  
ვარსკვლავების დიადი ბაღი  
ვარდისფრად ისევ

ჰყვავის და ჰყვავის...

1979



\*\*\*

მიწყნარდა ლოცვა...  
შელამების ბრწყინავს ტაძარი  
და მიიკმევა რწმენის  
დრუბელი  
ცისკენ,  
მიწისგან დაუფარავი.  
მე, სიყვარულის შიშით მოცული,  
როგორც არასდროს,  
როგორც არავინ,  
მუხლმოყრით,  
ღმერთო –  
შენზე ვლოცულობ.

1972



\*\*\*

დამტოვე...

ცრემლის ბილიკს მიჰყვები,

ვითარცა მნათი, ბნელით მოსილი.

დაკარგულ კოცნას

ულურჯესი უტირის ბაგე.

ზღვას მოუდრიკავს ცისარტყელა

ორფეოსივით

და აწკრიალებს განშორების

მწუხარე ჰანგებს.

1979



## 306 არის იგი

ცის იღუმალის სიმყუდროვიდან

ზარებს რომ რეკავს

დამით მნათობთა,

რათა ღამაზად მოგვაჩვენოს

წუთისოფელი,

და ყოველ დილით ნათელს რომ ჰფენს

ჩვენს საუფლოში, ვინ არის იგი,

შორეული...

და ახლობელი?

1972





\*\*\*

შორეთის ფსკერზე  
მოციმციმე ნათელს  
ვუჭკრეტდი,  
ფერებში მხოლოდ მე მიყვარდა  
ჩემი ქართული  
ლაჟვარდი,  
ცას რომ შეაბოლეს ლურჯმა იებმა.  
და... ანთებული წმინდა სანთურით,  
დაფნას ჩემსავით აქ,  
არავინ  
არ ეძიებდა.

1970



## ღაპით ბარეჯი

როდესაც წარსულში გულგრილად  
ჩავევლი,  
დღისით თუ მთვარიან ღამეში  
აქ, –  
დავიწყებული წინაპრის ყორღანი,  
ვითარც ბიბლიურ ნოეს  
კამეჩი,  
დრო-ჟამის წარღვნიდან მომდევს და  
მომბლავის.

1987



## ღამის კარებს მოიკეტავს

თვალეზდარდიანი მთვარე,  
სიჩუმეში მდგარი კენტად,  
რომ გაჰყურებს ცათა  
ბაღებს,  
ღამის კარებს მოიკეტავს,  
ცისკრისას კი მზე  
შეაღებს.

1973







## ეკლესიასტე და გილგამეში

გაუკვდავების წყაროს ძებნაში,  
აღბათ იცვალა უცებ

ამინდი

და...

დარჩენილნი მზიან ღამეში,  
წუხან საწუთროს ამაოებას  
ეკლესიასტე და

გილგამეში.

1964



\*\*\*

სულიწმინდა და უფლის ნათელი,  
ამოდიოდა ღრუბლის  
ხაროდან.

მზის ხმა ისმოდა მთვარის კონცხიდან,  
ვიღაცა იღვა და უხაროდა:  
არყოფნა ყოფნის  
გუელს რომ კოცნიდა.

2004



\*\*\*

ცეცხლმოდებული,  
აღმოსავლიდან, –  
დასავლეთისკენ ქარებ რომ მიჰქრის,  
მზე,  
სოხობს მოჰგავს, ადრე  
აფრენილს.

ამ სიცოცხლის და  
ამ ცრემლებს იქით,  
უფლის სამოთხედ ჩანს –  
ყველაფერი.

2005



\*\*\*

ის მთაა –

კავკასიონის,

ა, ეს კი ხვამლია...

ფაზისთან ნისლად რომ ამოდის,

ჰეფესტოს სამჭედლოს კვამლია:

– ამირანის მისაჯაჭვად

ჯაჭვს კვერავს!!!

1968



\*\*\*

მამლები ყივილის ჯოხებით  
ბერტყავენ ღამის ხეს...

ირხევა ხე-რხეული.

მთვარე კი ბორკილგაყრილია.

ცისკრის ვარსკვლავი –

საყვირია,

სულიწმინდის ნათელში შესვეული.

1968



**მიწა აღსავსეა ცოცხალი  
გვამებით**

სიკვდილი ჩუმად გვითვალთვალებს,  
როგორც ობობა,  
რადგან სიცოცხლის ბადეში გავებით.  
ზე – მიიკვამლება –

მოკვდავთა ვედრება.  
მიწა აღსავსეა ცოცხალი გვამებით,  
ზეცა კი – ვარსკვლავთა  
ცხედრებით.

1993



## ერთი ვარსკვლავი

ღამის ტაძარში როცა შეწყდება  
ვარსკვლავების  
და მთვარის გალობა,  
მაშინ ღამაში,  
ვითარცა ჩემი შორი მიზანი,  
ერთი ვარსკვლავი გაიფლავებს  
და, ვით წყალობას,  
ერთ პეშვ სინათლეს გამომიგზავნის.

1977





## მამის ბახსენება

სხვენზე დევს მამის თოხი და წაღდი,  
მოსუცი დედა საკერავს კერავს,  
მუხის ღაღარზე შიშხინებს მწვადი,  
მამა არ უზის მშობლიურ კერას.  
ფიქრობს დედა...

და ფიქრებს ჰგავს კვამლი,  
ეზოში ფოთლებს ქარები ჰგვიან,  
არ უყვილიათ მეორედ მამლებს,  
მამა კი უფრო მოსულა გვიან.  
გზას ფეხაკრეფით მიჰყვება ღამე,  
წელს მღევარივით მიჰყვება წელი  
და ზოგჯერ დედას სიკვდილი მამის  
ავიწყდება და... დიღამდე ელის...

1968



\*\*\*

მიბოძე ახლა,  
თუკი რამეს გამოიმეტებ  
(მე არ მიტაცებს ბელი რემბოს  
და არც იბსენის).

რა თავში ვიხლი მერე დიდებას,  
როცა ჩემი დღე  
ღამის ტოტზე

ჩამოისვენებს,  
ფრთებს რომ დაკეცავს და  
გარინდდება.

1989



## სოფლის კაცები

ტყის სიახლოვეს “ოდოიას” აგუგუნებნენ  
და გლეხკაცები

რიურაუსა და

სიმინდს მარგლავენ...

უბრუნდებიან გვიან კერას...

და სადამოთი

მათი სახლების საკვამურიდან –

ცეცხლის ყივილით

თმაქონორა კვამლი ამოდის...

1961



## ღამე არმაზში

ღუმს არმაზი და სვეტიცხოველი...

აქ პომპეუსის ზარმა დარეკა

და მცხეთის კარში შემოიხედა.

მტკვრის პირას ვდგავარ,

როგორც მარეკი,

ირველივ წარსული ყრია ციხეთა.

მთვარე კი, როგორც მოსამსახურე

ან მარტოსული, ანუ მიჯნური –

შუბლშეჭმუხენილი ცივად

დამყურებს –

ამ წუთისოფლის ცას გამიჯნული.

შეატორტმანა მთელი მაშრიყი

სიმყუდროვეში მდგარმა მეხტეხამ.

და ღამე მოჰგავს უცებ დაშლილ ტივს

და გადახიდულს სადღაც მეტეხთან.

1962

\*\*\*

როცა უეცრად მოიწყენენ მწუხრის  
ღრუბლები,

როცა ცა

წვიმას გულში გაივლებს,  
მაშინ კლდეებზე ზღვა ტორებს ლესავს,  
და სიბნელეში ისმის:

ცის და ქარის ბლაგილი

და ისმის შიში...

და ტიტველი ტალღების კენესა.

1967



\*\*\*

წარსულის ტრამაღს  
შენი ეტლი გადმოაქროლე  
და სიყვარულით ისევ მოგვხედე –  
ეჰვი, ჰელიოს!  
ძლიერნი ვართ,  
განა უძღურნი.  
ოქროს საწმისით პონტოს პირას  
კვლავ დგას  
კოლხეთი –  
თქმულებებით და ლეგენდებით  
ჩამოხუნძლული.

1968



**ჩემი სიცოცხლის შეთვალულ  
მტევანს**

სიკვდილ-სიცოცხლე – მძლე ყევარი –  
ჩელა და ღომა

მძიმედ მიათრევს

წუთისოფელს...

და რომ თქვას კაცმა,

ჩემი სიცოცხლის შეთვალულ მტევანს  
თეთრი დღეები

ასხია ბლომად.

მაგრამ...

დრო კენკავს სულ მარცვალ-მარცვალ...

1964



\*\*\*

სინათლის წვეთი, ვით ევამ – ვაშლი,  
იგემა ცამ და

წამს აეხილა თვალი...

მოუჩანს მნათთა იარა.

მერე მახათას მაღალ მთასთან

თბილისის დილამ,

ოქროსთმიანი მზე (ჭაბუკი)

იმშობიარა.

1962





\*\*\*

ირყვიან ფიქრები,  
სივრცეები შებინდა;  
დღეებს არ ეშვებო:  
მაგრამ ხელებს გიქნევინ –  
ვარსკვლავების ზღვები და  
ჰერკულესის სვეტები.

1965



## ჰენიოხები

ათასწლეულების მერე,  
პონტოს სანაპიროზე,  
ცვივა ზამთრის ჭირხლივით:  
მეეტლე –  
ჰენიოხთა,\*  
ულაყების ჭიხვინი.

1974

---

\* ჰენიოხები – პონტოს სანაპიროზე მოსახლე უძველესი კოლხური (ქართველური) ტომი.



\*\*\*

ცივს და მარტოსულს, მიმჯდარს  
სიხუმეში,  
მუხლზე უწყვია მნათთა კლავიშები  
და თავს იწონებს მთვარის  
როიალი.  
ყოფნას მიჯაჭვულნი,  
მალე აიშვებენ –  
შენი ღამეები ცაში მორიალე.

1968



\*\*\*

შავი ზღვა შავს რატომ იცვამს,  
თუკი ერთი სულიერიც,  
მისი ხელით არ დამხრჩვალა?!

ან ეს ცოფიანი ქარი,  
ნაპირისკენ რომ იჩქარის,  
ხმელზე რად ყრის ზვირთთა  
ჩალას?!

1969



**გლეხის ფესვიშველა ბიჭი**

ახლა, როცა წარსულიდან,  
ვისმენ ჭრიჭინების ჭრიჭინს,  
მაგონდება ჩემი თავი:  
სოფლის გზაზე მიმავალი –  
გლეხის ფესვიშველა ბიჭი.

2003



\*\*\*

ადამის ძე გაჩენიდან,  
შესციცინებს,  
როგორც იმედს  
და მზეა – ცის ფალოსი,  
რომლითაც ის აფესმძიმებს  
მიწას –  
ღვთისგან დალოცვილს.

1960



## მითი და სინამდვილე

აღსავლიდან –

დასავლით,  
სპამ, კოლხეთში შეჭრილმა,  
მას დამართა მერეთი\*,  
და მერე იმ “ქვეყანას”  
ეწოდა იმერეთი.

1959

---

\*მერეთი (მეგრ) – საოცრება, სასწაული



ახლაც, ო, ახლაც...

ახლაც მთაწმინდის საცალფეხო  
ბილიკს მიყვები,  
დამხემდა:

თბილისს უთენია  
თვალი მოვაულო  
(ეს სულერთია, ცივა თუ თბილა).

ახლაც, ო, ახლაც,  
უხილავმა მტკერის ლილაში  
კვლავ ამოავლო  
და ნარიყალას ნანგრევებზე  
დაკიდა დილა.

1962





## ჩემი ოცნება

სიყვარულის ცით ავსებული  
ჩემი ოცნება,  
რომელიც დაჰქრის სიმღერებად,  
დ დაგრიგალობს,  
მოვა შენს წმინდა,  
ლოცვით დაღლილ საკურთხეველთან  
და სიკვდილამდე შენთვის იგალობს.

1988



## ნათურები

ღამის სიღრმეში –  
დამფრთხალ მზერას აფათურებენ  
და ქალწულებივით  
ფერმკრთალები,  
სინათლეს იცინიან ნათურები.  
მათ აღარ აშინებთ  
ღამე და სიცივე  
და ღამის ქალაქი  
და ღამის სოფელი  
სავსეა იმათი მხურვალე სიცილით.

1969



## მორჩილება

სიცოცხლე ნუთუ წვალებად ღირდა?!

ასეა მუდამ:

მოვიხურავ მზის კარს

მწუხრისას

და დაქანცული გავდივარ დღიდან,

და მთელი ღამე მთვარეულივით

ძილ-სიზმარეთის

მტვრიან გზაზე დავეხეტები.

1972



\*\*\*

ცაზე ეკიდა ჩვენი გემბანი,  
ქარიშხლისა და  
ბედისწერის  
შავი ბაგირით.

იდგა სიფხიზლე  
და გვანჯღრევდა...  
და მთელი ღამე

ზღვა,  
თოფდაკრული ნადირივით  
ბნელს გაყმუოდა.  
მშიშარ ნაპირთან ტალღები კი  
ყეფდნენ და  
ყეფდნენ.

1969



\*\*\*

ეფარებოდნენ ხავსიან ლოდებს  
და ომობანას  
თამაშობდნენ ციცქნა ბავშვები.  
დუმდა სიკვდილი...  
დამშრალიყო ცრემლის აუზი.  
და მზე შუადღის ტოტს ეკიდა,  
როგორც ნახატი.  
გულ-ხელდაკრეფილ  
და მოწყენილ სასაფლაოზე  
ჰყვოდა პეპლის უცხო ფარფატი.

1987



\*\*\*

ისევ ინახავს მოგონებებს  
მონეტებივით,  
                                ეს ჩემი გულის  
ხსოვნა ღარიბი,  
სადაც, ოდესღაც სიყვარულის  
                                სხივი აენთო.  
და მაშრიყიდან,  
                                სადღაც, მადრიბით,  
მიდის ჩვენი გზა,  
უგულო და  
                                უერთმანეთო.

1964



\*\*\*

ღამე ღრუბლებში –  
გზას მიიკვლევს  
მთვარის კომპასით,  
სძინავთ გრიგალებს ზღვებით  
გალეშილოთ.  
ვზივარ გემბანზე,  
კივის წუთი – სევდის მომტანი  
და ჩემი ფიქრის უზარმაზარ  
ოკეანეში  
შენი,  
ო, შენი ხსოვნის გემი  
ისეც ტორტმანებს.

1993



\*\*\*

ადგა გრიგალი  
და სიერცეთა ფრთები  
გაშალა,  
უსაზღვროება ისევ ინდომა,  
ტალღები სტყორცნა მიწას  
მშვილდებად.  
და ვეღარ შესძლო,  
თვით ღვთიურმა  
პოსეიდონმა  
ცოფმორეული ზღვის დამშვიდება.  
.....  
სად ხარ, უფალო!

1965





\*\*\*

გადაუფრინეთ პირინეის და კასტილიას,  
ირწევა ფრთები

ყოფნა-არყოფნის.

ღრუბლები ელვის ღაგამებს ხრავენ.

ვარსკვლავები კი კვლავ დასტირიან –  
მეტეორებით განგმირულ ღამეს.

1964



## იულიუს ფუჩიკი

წამართვეს,  
ღამეც არ დამიტოვეს...  
მეთქვა,  
ვით მეთქვა,  
სათქმელადაც დრო ვერ ვიხელთე,  
რადგან ყოველ წუთს  
საალერსოდ  
თქვენსკენ მიყავდი.  
მე გიმაღავდით,  
სიცოცხლეში  
ველარ გიმხელდით:  
“ადამიანებო! მე თქვენ მიყვარდით”...

1967



## ზამთრის ღამე

ჟურს უგდებს თოვლი  
ცეცხლს, – ხმამაღლა  
გალობს ბუხარი  
და ღამე მიდის, ვით ეფეშერა...  
ჩემთან ზის დედა.  
და მტირალი  
ჩემი ბავშვობა  
კალთაში უწევს და  
ეფერება.

1982



## ევქსინის პონტო

პონტოს ნაპირზე,  
შორს, უხსოვარ დროში  
ნათესი,  
ახლაც ბიბინებს შიში –  
დმერთკაც მითრიდატესი.  
წარსულის ზღვაში ჭრიალებს ანძა  
და იძირება რომაელთა  
ფარ-მუზარადი.  
ევქსინის პონტოს აცვია ძაძა,  
მითრიდატეს და...  
საკუთარ თავს  
გლოვობს მარადის.

1969



## მშობელთა მიწა

განმარტოება შემოგვაჭდობს  
დაბინდულ მკლავებს  
შუბლს გაგვიგრილებს სურო და დაუნა,  
აწრიალდება ღუმილი მძაფრი.  
და... მწუხრის ხელით ჩაჭრილსა და  
ჩარღვეულ საფლავს –  
მშობელი მიწა ამოკერავს –  
ბაღაის ძაფით.

1989



\*\*\*

ელვით დასერილ,

ნაოჭიან სახეს

უკაწრავს

ცას, თოლიების განწირული

წივილ-კივილი,

რომლებსაც ქარის სუსხიანი

სუნთქვა აშინებთ.

ზღვა ნასიცხი და

ნახორშაკალი,

სანაპიროზე თავს მიღებს და...

ჩათვლემს მაშინვე.

1962



\*\*\*

შენ არ ხარ ჩემთან,  
მაგრამ შენს სახელს –  
ჭაბუკი დილა გვირგვინს უწნავს  
                                    ღამის გაღამა.  
და სადღაც ნაპირს ზღვა ედავება.  
ოთახის ფანჯრებს –  
                                    ვალეხ სმამაღლა,  
რადგან წუხილი  
და ფიქრები  
                                    მეცოტავება.

1989



\*\*\*

ისე შემოუსხდნენ მთვარეს ვარსკვლავები,  
თითქოს უსამანო

ნატვრა აისრულეს.

ცა წუხს სილაჟვარდეს –

ელვით დაისრული.

ჩუმი ფრთათარხევა

ისმის სერაფიმთა,

იდუმალეზაა აპოკალიფსური\*.

1962

---

\* აპოკალიფსური (ბერძ) – საიდუმლოებით მოცული რიცხვი





\*\*\*

კაცთა ცხოვრება ისე,  
ვითა პირამიდები,  
ნაშენები არის ლოდებით,  
და არა ქვიშანარ ალიზით.  
მიტომ მოკვდავნი იმედის ხეს  
აღარ ახმობენ.  
დრო კი უცდომლად ყოველივეს  
აანალიზებს  
და დღე-ნიადაგ იმუქრება  
დაბლა დამსობით.

1996



## სხვათა შორის

სამხრეთიდან “ქმად” მოსულმა,  
კოლხეთს გული შუა გაუპო,  
მერე სისხლი და ცრემლი  
ერთმანეთს გაურია...  
და შემდგომ მას უწოდეს  
მუსხი არა,  
გურია.

1978



\*\*\*

ხუთი ათასწლეულის  
იქით,  
უფლის ქვეყანას,  
მეუფობდა ან მარე;\*  
კოლხეთია სიცოცხლის  
აკვანიც და სამარეც.

1992

---


\*ან მარე – ცის კაცი (5185 – 5120)



\*\*\*

ქუხილის ხმით ღრუბლებმა,  
ზეცა დააორსულეს...  
ჩვენ ნეტავ რა გვაოცებს?!  
ქაოსიდან მოსულნი,  
ვუერთდებით ქაოსებს.

1958



## ქაღდეა

არა ჩანს ჰელე...  
და ჰელესპონტი\*,  
იხსენებს აკვნებს აქ დარწეულთა.  
ცა –  
ვარსკვლავებით დაწერილი  
საქადაღდეა.  
უხსოვარ დროში,  
სამრეკლოზე ათასწლეულთა,  
კოლხურ ზარებს რეკს  
ბაბილონიც,  
ხეთიც,  
ქაღდეაც.

1963

---

\* ჰელესპონტი – შავი ზღვა

## უფლის ხელით არის ნაბეჭი

მოვარის სხივებით პირგაბადრულნი,  
ჩანან ღრუბლები  
მკრთალ წახნაგებით,  
და არვინ იცის,  
მათ წამები რას არგუნებენ.

ცა

ღამეული,

უფლის ხელით არის ნაგები

ვარსკვლავებით –

მზის ქურაში გამომწვარი

აგურებით.

1966



## კახეთში

მერიქიფე ბარძიშს მაწუდის,  
ვეძალები ღვინოს ისევ...  
და ცა, ხელში მთვარის ყანწით,  
რომ დაჰყურებს საქართველოს,  
კვლავ მაგონებს დიონისეს\*.

1962

---

\* დიონისე – მევენახეობისა და მეღვინეობის მფარველი ღვთაება



## მას სხვა გზებით უვლია

შიგ რომ აღარ მიშვებენ,  
შენი ორეულია,  
კართან მარადისობას ბღავის,  
როგორც მოზვერი,  
მას სხვა გზებით უვლია  
და ის არის პირველი,  
ვინც მზემ სისხლის მთიების –  
ცის ნისორში მოზელა,  
და უფალმა შთაბერა –  
სული ნათელმხილველის.

1963






## ტროას ცხენი

ათასწლეულების იქით –  
ომის ცეცხლი

ბრუნავს ცხელი,  
მაგრამ ნათლად აქ კი მესმის:  
ფლოქეების ხმა –

ტროას ცხენის,  
ფარის რეკვა აქილევსის.

1959





## თეთრი ვეშაპი

ზედაპირზე კი არა,  
წყვილად ფსკერზე ეძებენ,  
                                  უსამანო წუხილით,  
მოკლულ მამრებს,  
                                  მდედრები,  
ცაში ადის ქუხილად,  
ცხრაფად თმა დაგლეჯილი –  
ზღვის მოთქმა და ვედრება.

1961



## იგი ჩვენშია

მისი მადლია, მზით რომ ივსება  
წვრილ-წვრილ ვარსკვლავთა  
ოქროს თასები,  
და მას არასდროს, არაფერში აღარ  
შეშლია,

შენ ეუბნები:

ის არ არსებობს,

მე კი გპასუხობ:

იგი ჩვენშია.

1962



## ია ნანია

შორეთიდან ისევ მესმის

ხმა,

რომელმაც კოლხეთს სული

დღემდის მოატანინა:

“ია ნანა,

მარდუ ნანა,

ია ნანინა”.

1964



## მკვდრის მზე

თავს იკლავენ ჩანჩქერები,  
ცაღაწვედილი –  
დუმან მთები,  
სამდურავი მოგდევს სოფლის –  
პოეტს,  
მკვდრის მზით გულანთებულს,  
თვით სიკვდილით უკვდავყოფილს.

1988



**სიენი**

სახელი და დიდება –  
წარმართ კოლხ-ხელმწიფეთა,  
წლებმა კლდეებს მიღესეს,  
მაინც ვხედავ:

სიენი,  
ასურეთი დიდ მეფეს,  
ებრძვის თიგლათ ფილესერს.

1969



## ვიღაც გამოჰკიოლა

არ ვიცი, ზღვა რად ბრაზობდა,  
როს ქარი ტალღებს მარგვლიდა...

ვიღაცა გამოჰკიოლა:  
მთვარის ლურჯ სადარბაზოდან  
და ვარსკვლავების ჯარგვლიდან.

1963





\*\*\*

სიკვდილი –  
სიცოცხლის აჩრდილია,  
ვარსკვლავებით ანთებულ ცის თვალეში.  
ღღე –  
ღამის ღამაში ტანდემია.  
მთვარე –  
მზის საუფლოში გაჩრილია,  
ავდარი –  
ტაროსის თანამდევია ...  
სიკვდილი – სიცოცხლის აჩრდილია.

1993



## ბეო, ადამის

ამქვეყნად მოსვლით,

შენი ნადავლი:

– უი!

და

– ვაი!

აბა, თუ უწყი, ბეო, ადამის:

საიდან!!!

საით!!!

1964



\*\*\*

შენ,  
ნაშიერს ქაოსის,  
                                  არაფერი გოცებს,  
თუმც ხარ მზით მონუსხული,  
                                  მნათთა სასაფლაოზე –  
გელის ღამის უფსკრული.

2003



**ლოტოფაგები ანუ  
მზის დაბნელება საქართველოში**

დაბნელდა და...

ველარ ვხედავთ,  
საქართველოს მზეს სავსებით.

სხვაგან ეიფელებს ვაგებთ  
და დღითიდღე ვემსგავსებით  
მანქურთებს<sup>1</sup> და

ლოტოფაგებს<sup>2</sup>.

1995

---

1 მანქურთი – მასხორობა დაკარგული ადამიანი (აიტმატოვი)

2 ლოტოფაგები – (“ოდისეა”) ვონც ლოტოსის ყვა-  
ვილს იგემებდა, მაშინვე ივიწყებდა მშობლიურ მი-  
წა-წყალს და ლოტოფაგების მკვიდრი ხდებოდა  
(ჰომეროსი)



## ჩემი ხორბა

სობისწყელის პირ ჩამომჯდარი,  
მელოდება ჩემი ხორბა.  
და საარი დილის მზაფრავს.

ღღე –

ყოველი ჩემთვის მოჰგავს –  
გასათხრელ თუ  
გათხრილ საფლავს.

2001



\*\*\*

მიდის და ტანს ნაზად მიარწევს  
და ნაპირს ნაწერს –

ქაფის ლურსმულით,  
რომ შლის ზღვის ნიაფ-ქარია.  
შორით რომ გამოკრთა,  
ცის მწვანე უფსკრულთან,  
თოლიას ფრთა არის,

თუ იაღქანია?!

1991



\*\*\*

შენი აზრი ელეაა და,

მნათთა ოკეანეს ერთვის.

და ქარიშხლის სუნთქვაც ელის.

შენი სიტყვა არის ღმერთი,  
გალობაა – სულის მზრდელი.

1999



## ოპერტი

ინტერნეტში მე ვიხილე,  
ის ოპერტი<sup>1</sup>, წარსული რომ  
ერთიანად ამოხსრა,  
მერე გადუმალა მიღეთს –  
ჩემი კოლხეთი და კოლხა,  
“ნანა”,  
“ძაბრალე”  
და “ლილე”.

2002

---

1 ოპერტი იულიუს – იუდეველი არქეოლოგი,  
რომელმაც XIX ს. მეორე ნახევარში, ძველ სამხრეთ  
საქართველოში არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა







## ნაპოლეონ ბონაპარტუს ეპიგრამა

ვით კოლხეთში, საფრანგეთში,  
ცრის და მარტი ისევ მარტობს  
და სენის პირს ჩაუბღუჯავთ  
ღურჯი იის კონა მარტებს,  
სურთ, მიართვან იმპერატორს,  
დიდ კორსიკელს კი არადა,  
დიდ კოლხს – ნაპო ბონაპარტეს.

1983



## ასეა

მოკვდა...

ჭირისუფალი,

მწარე ცრემლით საესეა,

სეედაც აწევს მოებური

და სოფლის აბრუნდები.

მაგრამ რას იქმს...

ასეა,

გარდა მიცვალებულის,

ყველა უკან ბრუნდება.

1989



\*\*\*

პონტოს სანაპიროზე,  
როგორც ვარჯი ღამაზ ხის  
ანდა ყანა თავთუხის,  
შრიალებდა,  
ხარობდა:  
მოსხი,<sup>1</sup> ბასხი<sup>2</sup> და ღასხი<sup>3</sup>,  
ტაოხი<sup>4</sup> და ქართუხი<sup>5</sup>.

1961

---

1,2,3,4,5 – ქართველური ტომები



\*\*\*

ღელვის რაშებზე შემსხდარ  
და ფაფარაშლილ ზვირთებს,  
სურთ გადალახონ ზღვრები,  
მიწის აკვანში უწევთ  
და ქარი აკვანს რომ ურწევთ,  
ოკვანის პირმშობებია ზღვები.

1986



## ხელავ თათუ-ნეფერტიტს

მიღმა ათასწლეულთა,  
ვით მითი ან ლეგენდა,  
მოსული სხვა ევექტით  
და კოლხური იმედით,  
ხელავ: თათუ ნეფერტიტს –  
გზას მიჰყვება ქიმეთის<sup>1</sup>.

1998

---

1 ქიმეთი – შემდგომში ეგვიპტის სახელწოდება



\*\*\*

ვით ფარავნელი ჭაბუკი,  
ცა,

შავ ჩოხას რომ იხევედა,  
ახლა ხმა რატომ გაკმიდა?  
ელვა, ვით მზეთუნახავი,  
ხანდისხან გამოიხედავს,  
ღამის დანისლულ სარკმლიდან.

1998



## კოლხა და კოლხეთი

მესმის წინაპრის ძახილი:  
ამჟვეყნად რისთვის მოხვედი,  
თუ არაფერი გაწუხებს!!!  
მე გულში ტყვიამოხვედრილს,  
არ მძინებია არც წუხელ,  
რადგან კოლხა და კოლხეთი  
მტკივა...  
რომ მიტერს მარწუხებს.

1970





**ქაღდებსა და კარდულელთ**

ბერი ათასწლეული

ვიცი,

დაგაგვიანდა,

მაგრამ პრეისტორიის –

გადარაზულ კარს ვუღებ

და მოვუხმობ ნიადაგ:

ქაღდებსა და კარდულელთ.

1967



\*\*\*

მტერთა ჩვენთა სივერაგეს,  
ქვეყნად ვერვინ ჩამოთვლის,  
არის რბევა,

თარეში.

საქართველო აფხაზეთის გარეშე,  
მოჰგავს ბედკრულ

არსაკიძეს,

მარჯვენა მკლავჩამოთღილს.

1993



\*\*\*

ციცაბო კლდეებს ბილიკი,  
მიუყვება, ვით მთამსვლელი.  
ჩანს ღრუბლის შავი სამარე,  
და ცა,  
მთვარეს შიგ ასვენებს –  
ღამის პერანგის ამარა.

1974



## წამალი

ამურისგან დანაყული –  
სიყვარული წამალია,  
გვკურნავს მისი ნაყოფი.  
და დრო შუამავალია –  
ყოფნისა და არყოფნის.

1980





\*\*\*

წლებმა მეტეორივით უცვებ  
გადაიქროლეს,  
                    უკვე ღება წუთები,  
დღე-ღამე რომ შეერთდეს,  
მივალ გალადებული, საყელო აწეული.  
საუკუნეს მე ჩემად ვტოვებ,  
                    ოცდამეერთეს,  
თვალშეუდგამ მესამე –  
დიდი ათასწლეულის.

2001



## თიგლათფილასარ

ბრძოლით ხედებოდი მწუხრსაც,  
დილასაც,

თიგლათფილასარ!

მზე და მთვარე კი –

ზეცის სასწორი,

ათასწლეულთა რისხვას არწევდა.

მაინც წარსული თავს კვლავ

გვაწონებს –

მაღალ კლდეებზე ლურსმულ წარწერით.

1986



**ისევ სამეგრელოს დალაშქვრა!!!**

შურით და მტრობით სამეგრელო  
შემოღობეს და  
სიძულვილის ცა წამოაცვეს  
თავზე სარებად  
და დღე ყოველი გაველურდა და  
გატყიურდა:  
მხოლოდ კაცთა კვლა!!!  
არც ლოცვები,  
არც აღსარება,  
თითქოს კავშირი შეწყდა ღვთიურთან.

1993





\*\*\*

სოფლის შარაზე თავაწეული,  
მიმოდის ქარი,

როგორც ვასალი.

ორღობეში თავს იკლავს ჭრიჭინი.

და მთვარეს, როგორც კასრის საღტეს,

სადღაც დასავლით,

ცა მიაგორებს გლეხის ბიჭივით.

1958



\*\*\*

თოფის ხმაზე ციცქნა ელვა,  
უცებ გახევს ნისლის მარლას  
და დაადებს მთებს –

სალბუნად<sup>1</sup>.

ქისტებს მიჰყავთ მკვდარი დარღა,  
ცაში ადის ხმა

ფსალმუნის<sup>2</sup>.

1977

---

1 სალბუნი – მალამო.

2 ფსალმუნი – (ბერძ). სახოტბო საგალობელი.



\*\*\*

სიცოცხლე არა,  
სიკვდილია მარადიული,  
მისი “საგმირო” ვიცით საქმენი.  
დრო მისია და არასოდეს აღარ  
ბერდება.

მოვა ჩვენს კართან,  
დაიხოქებს, როგორც აქლემი,  
არარას გვეტყვის და...  
თვალებში ჩაგვაშტერდება.

2003



\*\*\*

ორმოცდაათი წლის იქიდან  
ვისმენ სტვენის ხმას  
და შეცხადებას ინდაურების.

ვჭკვრებ: უღელშებბუღს  
ნიშას,

ნიკორას.

და... მამახემის ძველი ურემი,  
ჩემი ბავშვობის

სოფლის გზაზე

ისევ მიგორავს...

1991



\*\*\*

ვარსკვლავები არ ბრწყინავს,

ალბათ,

ვერსად პოეებ მზეს.

სადღაც ხსოვნა იელვებს

და შენ პელოპონესზე<sup>1</sup>

ხედავთ არკადიელებს<sup>2</sup>.

1963

---

1 პელოპონესი – სამხრეთ საბერძნეთი.

2 “არკადიელები – კოლხთა იმდროინდელი წინაპრებია. როცა მთვარე არც კი იყო დაბადებული. აპოლონიოს როდოსელი (ბერძენი პოეტი ძვ.წ.ად. III ს.)



\*\*\*

რომ ყვარებოდა ღერი ბალახის,  
არსთაგამრიგემ ასე არგუნა.

(ზოგი ცოტნეობს...


ზოგი ყვარყვარობს.)

ვაჟას ფანდურმა სადღაც მთებში

“გაიჩხაკუნა”

და გაიგონა მთელმა სამყარომ.

1961



## ღვას თებერვალი

დაუკითხავად ჩაუვლიათ მზეს და  
მაისებს,

ჩემი ცხოვრების ღვას თებერვალი.  
ქათქათა ღრუბლებს დასდებიან  
ფერი იოდის.

და ქედებს მიღმა,  
დათოვლილი მოჩანს მწვერვალი –  
სადაც ამაყად ჩემეული ღანდი მიმოდის.

2004



\*\*\*

აღარ ეგონა მამლის ყივილი,  
გათენების ცას თუ  
დაცრიცავდა  
და გაატანდა ტალღებს ღიახვის.  
მერე მთიები –  
გუნდი ციცართა,  
გადაუფრენდა ღამეს კრიახით.

1984





## ზამთარი სხვიტორში

(ვარიანტი)

ცვივა და ცვივა ფანტელი –  
თეთრ ზღაპარს ყვება  
თეთრი ცა,  
ყვება და აღარ ამთავრებს.  
კვლავ ბევრი დარჩა უთქმელი.  
ღვას აკაკივით,  
ზამთარი,  
თოვლისგან ნახუქურთმევი.

1959



\*\*\*

დღისით ვეღარ ისვენებს,  
ღამით ვეღარ იძინებს  
და მომავლის კარს უღებ:  
ბექირებს<sup>1</sup> და  
ბიძირებს<sup>2</sup>,  
კაბირებს<sup>3</sup> და კარღუღებს<sup>4</sup>.

1973

---

<sup>1,2,3,4</sup> \_ კოლხთა (ქართველთა) მონათესავე  
ტომები.



\*\*\*

რომ გაავლო ქარმა მუსრი,  
ზღვა ღრუბლებმა მიატოვეს,  
მთებს ესტუმრენ –  
მკვიდრად ნაგებს.

მთვარე –

არქივარიუსი,  
ვარსკვლავების ოქროს ტომებს,  
ცის თაროზე კვლავ ალაგებს.

1969



\*\*\*

დასავლეთიდან –  
აღმოსავლეთით,  
უკან მოსდევდა მნათთა  
მდევარი,  
ზღვა გადასცურეს...  
ცა გადაბეულეს...  
მერე დღემ უცებ ამოსწია  
მზის სატევარი  
და მოკლა ღამე,  
ვით კაენმა მოკლა აბელი.

1968



## ნიკო ჳიროსმანიშვილს

შენს განძს აღარ იცავდა,  
ცეცხლის ფრქვევა დრაკონთა<sup>1</sup>,  
ცის და მიწის ფერები  
ერთმანეთში აზავე.  
სიამავე ქართული დროშასავით  
დაგქონდა –  
ფუნჯის ქართველ აზავერს<sup>2</sup>.

1977

---

1 დრაკონი (ბერძ.) – გველეშაპი.

2 აზავერი – ტვირთის ზურგით მზიდავი ხარი ან კამენი.



## ამბობდა მეფე ღაჭით

აღარ შერჩება თავი,  
ვინც საქართველოს ურქენს,  
ამბობდა მეფე ღაჭით,  
რომ გაეგონათ თათრებს,  
სპარსელებსა და თურქებს,  
შაჰებს,  
სულთნებს და  
ფაშებს.

1989



## ისევ არკადიელები

მილიონი წლის იქიდან,  
ქაოსიდან ამოსული –  
კაცთა მოდემის ხმა იელვებს.  
და იმ ხმაში –  
ჩემს წინაპარს,  
ვცნობ მე არკადიელებს\*.

1964

---

\* არკადიელები – კოლხთა შოთრეული წინაპრები.



## ნარიყალა

წლები გუნდ-გუნდად  
შორს გაფრენილან  
და ნარიყალა მოჰგავს  
მერცხლის დანგრეულ ბუდეს.  
წარსული კვლავ ზის ნანგრევებში  
და ომებს გმინავს...  
საქართველოს კი ბრძენი თავი  
გულმწვიდად უდევს  
მამადავითის თბილ კალთაში და...  
ტკბილად სძინავს.

1967





**სარჩევი**

წინასიტყვაობის მაგიერ.....5  
 „ქართლის ცხოვრება“ .....25  
 ლტოლვა.....26  
 მაშინ თბილისში.....27  
 ზაფხულის ბაღში.....28  
 \*\*\* შენი სიშორით დაჭრილი ხოლმე.....29  
 ნაკადულები.....30  
 ადამი და ევა .....31  
 წარმართ კოლხთა დღეთა კალენდარი.....32  
 ია.....33  
 სამი რაინდი.....34  
 რუსთაველს და პინდარეს.....35  
 სიცოცხლე, სიკვდილი.....36  
 ნეპტუნი და ურანი .....37  
 ცას მიაღვი რწმენის კიბე .....38  
 ხილვა: სპარსთა ღაშქრობა.....39  
 ჩემო ქართულო.....40  
 სამოთხე .....41  
 უდაბნოები.....42  
 \*\*\* მზეს უნდა გაყვე დასავლეთისკენ .....43  
 ილორი .....44  
 \*\*\* ზღვას ქარიშხალი სველი ხელით.....45

უკედავსაყოფად .....	46
*** ისევ შენა ხარ ჩემი მსაჯული.....	47
მონადირე .....	48
სიყვარულის კვირიონებს.....	49
*** მთებია მიწის ბოდმა და დარდი.....	50
პირველი სიყვარული.....	51
გათენება.....	52
განათლა ბნელი.....	53
სხვა არაფერი.....	54
მიხმე და... ..	55
სარკოფაგები .....	56
ბუხარი .....	57
*** ცოტებზე ისხდნენ.....	58
*** მეძახის შენი ცა და.....	59
პატარა ბავშვი.....	60
*** ჩორთით, .....	61
რწმენა .....	62
*** სიმყუდროვიდან გრიგალი.....	63
ჭიამაია.....	64
*** მოხუცი მთები .....	65
მზის დასასრული .....	66
*** ჩემთვის ქვეყანა ჩამოლუსკუმა.....	67
ზღვის ყურე .....	68

ერთი ნაბიჯი .....	69
*** ზაფხულ და ზამთარ აქ	
ყვავილობს .....	70
*** ქარის აკვანში ზღვა ისევ წევს .....	71
ზოგ-ზოგებს .....	72
იმედი .....	73
სასაფლაო .....	74
კვამლი .....	75
ხილვა: ხაიამი და ჰაფეზი .....	76
„-ს .....	77
მთვარის აქანდაზი .....	78
მონოსი და ხობოსი .....	79
ფაცხა მეგრული .....	80
იობი .....	81
*** ოკვანისკენ მიიქცევა გზა .....	82
*** დედამიწაზე დაუტევარი პოეტის	
სული .....	83
*** რბევად მოვარდა გულბორგნეული.....	84
*** მტკვრის ღამაზ სარკეს ჩასცქერს .....	85
თუ არა იგი .....	86
მიწის ტკივილი .....	87
*** ციდან მოფრენილ ღამაზ	
ფიქრით .....	88

*** მზე მიიდრიკა .....	89
*** გამოვეთხოვე ღამის წამებას .....	90
*** აპა, აპრილი .....	91
თბილისი-ფოთი .....	92
*** მღელვარ ზღვასთან მღვარ ჩემი მამულის .....	93
*** როცა კანდამსკდარ ბროწეულივით.....	94
ჭრიჭინები .....	95
*** შეჰკედლებია ზეთისხილის ჭაღას.....	96
არავინ, არსად .....	97
*** ცეცხლისთვალება მზე.....	98
*** ზღვა, ვითარც ფარა, დასამწყემსავი .....	99
*** ზღვა უცებ ქარის ფოთლებს.....	100
გზაჯვარედინი .....	101
მომენატრება.....	102
*** სიმყუდროვეში.....	103
*** ღამის გუმბათზე.....	104
*** გვიან... ..	105
*** ხსოვნის ნისლიან ლაბირინთებში.....	106
*** ზღვები .....	107
მთები .....	108
*** ზიხარ მარტოკა .....	109

*** ადრე თუ გვიან.....	110
გაზაფხულის წვიმა .....	111
*** თვალეში ისევ ყუჩობს მოწყენა.....	112
*** დარდით გაფოთლილ სიჩუმეში.....	113
*** ღამეულ ბაღში.....	114
*** ზღვისკარად კანკალებს სიცივე.....	115
*** ზესკნელის ფსკერი გაიბზარა.....	116
*** ფიფქები თოვლის თეთრი თითუბით.....	117
*** იმედები, ვით განთიადები.....	118
ივლისი .....	119
*** გამთენიისას შუა კერამ .....	120
ვით მაფშალია .....	121
პირველ თოვლში .....	122
*** იავარქმნილა მთვარის თეთრი .....	123
*** ქართული ცისქვეშ .....	124
*** საჯიხვეებზე ელვა ჩამოდის .....	125
თბილისის დილა .....	126
*** ზღვა აკვანს ურწევს .....	127
წერო .....	128
*** შორს დარჩა, როგორც დასალიერი.....	129
*** ესე სიმღერა .....	130
ტყეში .....	131
ველი კრწანისის .....	132

*** ტანჯვის გზაზე მდგარ ცხოვრების ხეზე .....	133
*** ზღვაში დამხრჩვალებს და დაკარგულებს .....	134
*** ირაკლივით გადაჰყურებს კახეთს.....	135
გაზაფხული .....	136
ვარსკვლავების ბაღი .....	137
*** მიწყნარდა ლოცვა... ..	138
*** დამტოვე... ..	139
ვინ არის იგი .....	140
*** ჩანგი მიბოძე .....	141
*** შორეთის ფსკერზე .....	142
დავით გარეჯა .....	143
ღამის კარებს მოიკეტავს .....	144
გამოცხადება .....	145
ეკლესიასტე და გილგამეში .....	146
*** სულიწმინდა და უფლის ნათელი.....	147
*** ცეცხლმოდებული.....	148
*** ის მთაა .....	149
*** მამლები ყივილის ჯოხებით .....	150
მიწა აღსავსეა ცოცხალი გვამებით .....	151
ერთი ვარსკვლავი .....	152
მამის გახსენება .....	153

*** მიბოძე ახლა.....	154
სოფლის კაცები .....	155
ღამე არმაზში .....	156
*** როცა უეცრად მოიწყენენ მწუხრის ღრუბლები.....	157
*** წარსულის ტრამაღს .....	158
ჩემი სიცოცხლის შეთვალულ მტევანს.....	159
*** სინათლის წვეთი, ვით ვვამ – ვაშლი .....	160
*** ირყევიან ფიქრები .....	161
ჰენიოხები .....	162
*** ცივს და მარტოსულს, მიმჯდარს.....	163
*** შავი ზღვა შავს რატომ იცვამს .....	164
გლეხის ფეხშიშველა ბიჭი.....	165
*** ადამის ძე გაჩენიდან.....	166
მითი და სინამდვილე .....	167
ახლაც, ო, ახლაც... ..	168
ჩემი ოცნება .....	169
ნათურები .....	170
მორჩილება .....	171
*** ცაზე ეკიდა ჩვენი გემბანი.....	172
*** ევარებოდნენ ხავსიან ღოდებს .....	173
*** ისევ ინახავს მოგონებებს .....	174

*** ღამე ღრუბლებში .....	175
*** ადგა გრიგალი .....	176
*** გადაუფრინეთ პირინეს და კასტილიას .....	177
იულიუს ფუჩიკი .....	178
ზამთრის ღამე .....	179
ევქსინის პონტო .....	180
მშობელთა მიწა .....	181
*** ეღვით დასერილ .....	182
*** შენ არ ხარ ჩემთან .....	183
*** ისე შემოუსხდნენ მთვარეს ვარსკვლავები .....	184
*** კაცთა ცხოვრება ისე .....	185
სხვათა შორის .....	186
*** ხუთი ათასწლეულის .....	187
*** ქუხილის ხმით ღრუბლებმა .....	188
ქალდეა .....	189
უფლის ხელით არის ნაგები .....	190
კახეთში .....	191
მას სხვა გზებით უვლია .....	192
ტროას ცხენი .....	193
ვუხმობ პოეზიის ართოსს .....	194
თეთრი ვეშაპი .....	195



იგი ჩვენშია .....	196
ია ნანინა .....	197
მკვდრის მზე .....	198
სიენი .....	199
ვიდაც გამოჰკიოდა .....	200
*** სიკვდილი .....	201
ძეო, ადამის .....	202
*** შენ .....	203
ლოტოფაგები ანუ მზის დაბნელება	
საქართველოში .....	204
ჩემი ხორცა .....	205
*** მიდის და ტანს ნაზად მიაღწევს .....	206
*** შენი აზრი ელვაა და .....	207
ოპპერტი .....	208
ბერმუსა .....	209
ნაპოლეონ ბონაპარტეს ძეგლთან .....	210
ასეა .....	211
*** პონტოს სანაპიროზე .....	212
*** დელვის რაშებზე შემსხდარ .....	213
ხედავ თათუ-ნეფერტიცს .....	214
*** ვით ფარაენელი ჭაბუკი .....	215
კოლხა და კოლხეთი .....	216
ქალდებსა და კარდუდელთ .....	217

*** მტერთა ჩვენთა სივერაგეს .....	218
*** ციცაბო კლდეებს ბილიკი .....	219
წამალი .....	220
*** ვარსკვლავები .....	221
*** წლებმა მეტეორივით უცებ .....	222
თიგლათფილასარ .....	223
ისევ სამეგრელოს დალაშქერა!!! .....	224
*** სოფლის შარაზე თავაწეული .....	225
*** თოფის ხმაზე ციცქნა ელვა .....	226
*** სიცოცხლე არა .....	227
*** ორმოცდაათი წლის იქიდან .....	228
*** ვარსკვლავები არ ბრწყინავს .....	229
*** რომ ყვარებოდი ღერი ბალახის .....	230
ღვას თებერვალი .....	231
*** აღარ ეგონა მამლის ყივილი .....	232
ზამთარი სხვიტორში .....	233
*** დღისით ველარ ისვენებს .....	234
*** რომ გაავლო ქარმა მუსრი .....	235
*** დასავლეთიდან .....	236
ნიკო ფიროსმანიშვილს .....	237
ამბობდა მეფე დავით .....	238
ისევ არკადიელები .....	239
ნარიყალა .....	240

2020.08.01

"საერთაშორისო მკვლევარების" 100-გვერდის  
პროგრამის, საქართველოს მკვლევარების, საქართველოს  
საერთაშორისო მკვლევარების, საქართველოს მკვლევარების  
საერთაშორისო მკვლევარების პროგრამის  
"საერთაშორისო მკვლევარების"  
საერთაშორისო მკვლევარების, 3-6 კლასის მკვლევარების  
პროგრამის თანამშრომლობის, მისი მხარის ცენტრების  
საერთაშორისო მკვლევარების პროგრამის  
3-6 კლასის მკვლევარების, 100-გვერდის  
პროგრამის მკვლევარების პროგრამის  
საერთაშორისო მკვლევარების.

საერთაშორისო მკვლევარების  
2020.08.01



ვაჟა ეგრისელი  
კოლხური ფსალმუნები

100 ტომად  
ტომი 59

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 59

გამომცემლობის  
რედაქტორი – ალექო დოღბაია  
მხატვარი – სპარტაკ ცინცაძე  
მხატვრული რედაქტორი – ირაკლი შხვერიძე  
ტექნიკური რედაქტორი – ნანა დუმბაძე  
კორექტორი – ნინო ბერიძე  
კომპიუტერული  
უზრუნველყოფა – ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – ზურაბ დოღბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიძის ქ. №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com